

1676
1921

სახალხო
გვარდიის
სამხრეთ-დასავლეთი
კვანთა

სახალხო

გვარდიე

№ 5

სახალხო გვარდიის მთავარი უბანის ორგანო.

№ 5

გაუმარჯოს განახლებულ დემოკრატიულ სახრთველს ღირსეულ
შვილებს: ახალგაზრდა ჯარს და სახალხო გვარდიას.



სალაგო ფრონტს.

საქართველო იურიდიულად იცვნეს!

საქართველომ დემოკრატიაში გაიმარჯვა!

განახლებული დემოკრატიული საქართველო

ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ საქართველოს ხალხმა გამარჯვება მოიპოვა. საქართველო გახდა სრულ უფლებიანი წევრი საერთაშორისო ხალხთა ოჯახისა.

საქართველომ თავისი ბრძოლით მოიპოვა უფლება, თვით გამოარჩევა და ხანგრძლივ წლობით დაკარგული სახელმწიფოებრივი ცხოვრება განახლა აღადგინა...

ოთხი წლის დაულალავი მუშაობით, ოთხი წლის შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვა შინაური და საგარეო გამარჯვებანი და ამიერიდან უფლება-მოსილი პატარა და განახლებული ქვეყანა თავისი სახელმწიფოებრივი შევსებებით, დემოკრატიული წესწყობილებით ევროპის ხალხთან ერთად წინ გასწევს განვითარებისაკენ.

ბრძოლა საქართველოს ხალხის სახელმწიფოებრივი, ეროვნული და უფლებრივი დასრულება. და ეს ისტორიული მოძრაობა - უფლება შეითვისა როგორც მსოფლიოს დემოკრატიაში, ისე თანამედროვე სახელმწიფოთა მართვლად წრეებში.

ამ უდიდეს აქტის შემდეგ საქართველოს ფაქტიური ცხოვრების, მის ისტორიულ, იურიდიულ უფლებების შესახებ კითხვა აღარ დაისმება, ეს გადაჭრილია და ამას ვინც უნდა შეეხოს ძალით თუ ისე, მაინც ვეღარ დაარღვევენ. რადგანც საქართველოს რამოდენიმე ასი წელიწადი თავისუფლად, დამოუკიდებლად უცხოვრობდა, ის არავის დაუმორჩილებია და მისი კავშირი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევიდან მოხდა რუსეთთან თავის ნების ყოფით, სურვილით. თუმცა მერე რუსეთის ძველმა იმპერიალისტურმა მთავრობამ საქართველოს ხელშეკრულება დაარღვია და თავისი იმპერიალისტური ლტოლვილების მსხვერპლად აქცია საქართვე-

ლოს პოლიტიკური, ნაციონალური და ეკონომიური კეთილდღეობა.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ დაამსხვრა ძველი რუსეთის პოლიტიკური და იმპერიალისტური ბორკილები. საქართველოს ხალხი მუშათა კლასის მეთაურობით იბრძოდა ამ ბორკილების დასამსხვრევად და როცა რუსეთმა დაჰკარგა სწორი გზა, რევოლიუციის უმაღლესი შემეცნება და მოთხოვნილება, საქართველომ თავისი თავი გამოაცხადა დამოუკიდებლად და საერთაშორისო საშინელების დროს, საერთო ომიანობის ხანაში მან დაიჭირა მოძრაობის სწორი გეზი და ამ მოძრაობის საშოში ისევ განახლდა სულ სხვა სახის საქართველო, საქართველო დემოკრატიული, ნაცვლად ფეოდალურ, მონარქიულ-ბურჟუაზიულია.

საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა, განახლება, მისი გამარჯვება მოხდა საქართველოს დემოკრატიის მეთაურობით, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით და ეს გამარჯვება იყო შედეგი დემოკრატიის საუკეთესო პოლიტიკისა.

ამრიგად დამთავრდა საქართველოს მოძრაობის მთავარი მიმდინარეობა, მიმდინარე მომენტში, მან მიიღო დასრულებული სახე და იწყება ნამდვილი სახელმწიფოებრივი ცხოვრება საქართველოს ხალხის ცხოვრებაში.

მართალია, გადაწყდა უდიდესი კითხვა — საქართველოს იურიდიულად ცნობა, მაგრამ დღეს არის საკითხი-საქართველოს ნეიტრალურ ქვეყანად აღიარება. მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმება, მშვიდობიანობის ჩამოგდება და მთავარი კითხვების გადაჭრა აადვილებს მის ხელქვეით კითხვების გადაჭრასაც.

ჩვენი წყურვილია განახლებული საქართველო შევიდეს ნორმალურ საზღვრებში. გაიუმჯობესოს შინაური ეკონომიური მდგომარეობა და წინ გასწიოს ქვეყანა თავის უდიდეს მიზნების დასახლოვებლად, განვითარების უმაღლეს გზაზე სწრაფად წასაყვანად...

დღეს ახალმა აქტმა კიდევ მეტი მოვალეობა, კიდევ მეტი პასუხის მგებლობა დაგვაკისრა როგორც ისტორიის, ისე მსოფლიო ხალხის წინაშე და ჩვენ გვაქვს სრული იმედი ჩვენი მოქალაქეობრივი სიმტკიცე დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და საქართველოს ხალხი დამთავრებს თავის მოძრაობას სრულ გამარჯვებით.

ჩვენ ვდღესასწაულობთ გამარჯვებას.

ვემზადებით გამარჯვების ღირსეულად და ახალი გამარჯვებისთვის.

ჩვენი სახელმწიფო დემოკრატიის აკვანია და მთელ ენერჯიას ამ სახელმწიფოს შევსწირავთ...

მსეთი იყო და იქნება სიტყვა სახალხო გვარდიისა.

27 იანვარი.

კიდევ ერთი საამაყო გამარჯვება ჩვენი დემოკრატიისა და მისი ბელადის სოციალ-დემოკრატიისა!

კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩვენი რესპუბლიკის ისტორიისა!

კიდევ ერთი დიდი საზეიმო დღესასწაული ჩვენი ახალი კალენდრისა!

ყოველი მხრიდან ველური ურდოებით აღყაშემორტყმულ დემოკრატიულ საქართველოს ჯერ ჩვენი ევროპიელი მოძმეები გამოეხმურენ.

ობლად მიტოვებულ ჩვენს დემოკრატიას ჯერ საერთაშორისო დემოკრატიაში გამოუწვდინა თავისი მოყვრული ღონიერი ხელი. საერთაშორისო დემოკრატიის — ამ მამავალის ბატონ-პატრონის, გამოხმაურებას, მის მაღალსა და მაგარს ხმას ბოლოს შეოერთა თავისი ხმა დღევანდელმა ბატონ-პატრონმა — საერთაშორისო ბურჟუაზიამ, და აი ამის რეალური შედეგი:

27 იანვარი! ამ საერთაშორისო იანვრის აქტმა დააგვირგვინა ჩვენი ეროვნული ღაბის აქტი: 27 იანვარმა შეუკრა თაღი იმ ახალ სახელმწიფოებრივ შენობას, რომლის მკვიდრი საძირკველი 26 მაისმა ჩაჰყარა. 27 იანვარს ჩვენმა დემოკრატია უხვად მოიმკო ნაყოფი თავისი მუშაობისა, რომელსაც ამდენი მსხვერპლითა და ასეთი თავგანწირვით ეწეოდა იგი მთელი სამი წლის განმავლობაში. აშკარად უნდა ითქვას, ეს ჩვენი დიდი საზეიმო დღე იმავე დროს არის დიდი სამგლოვიარო დღე ჩვენი გამტარებისა, რომელთა სახელი ლეგიონია. უბადრუკნი — რამდენი გონებრივი და ქონებრივი დოვლათი, რამდენი ენერჯია და ხარჯეს და დაფლანგეს მათ არა თავიანთხალხთა საკათილდღეოთ, არა მათ აღსაშენებლად და გასაკეთებლად, — არამედ ჩვენი ნაშენისა და ნაკეთების დასანგრევად და დასარბევად!

მაგრამ... სულ წინააღმდეგ მიმართვის: საპნის ბურთივით გაქრა ყველა ამ ჩვენ მოშურნეთა შავი ზრახვანი. ერთის დაკვრით ჩაიშალა მათი ბოროტი მხინციკები და კომბინაციები, ჩვენს დასაღუპავად ნაქსოვ-ნაცოდვილივი! — ჩვენ დღეს მარტონი აღარა ვართ. ჩვენ ამიერიდან საერთაშორისო ოჯახის სრულ უფლებიანი წევრი ვართ. დღეიდან არავითარ ქართველს არ ძალუქს ჩვენი ამ ოჯახიდან ამოშლა...

უგუნურნი! აწი მაინც შეიგნონ, რომ ეს გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ არა შურისა და ღვარძლის თესვით, არა მეზობლებისადმი ტლანქი მოლაღატური მისწრაფებით. ჩვენი დემოკრატია, საქართველოს დემოკრატია თავ-



ვის მოქედებაში თავიდანვე ეყრდნობოდა პირველ ყოვლისა თავის საკუთარ ძალებს და იმ ბრძნულ მორალს, რომელიც გვასწავლის: „მოეპყარ სხვებს ისე, როგორაც გსურს, რომ სხვებმა მოგეპყრან შენ“. ამ ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპზეა აგებული მთელი ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ამ შეგნებამ მოგვცა ჩვენ ჩვენი საამაყო გვარდია და ჩვენი ახალგაზდა რევოლუციური ჯარი. აქვე მარხია გასაღები ჩვენი გულწრფელი, მოყვრული დამოკიდებულებისა თვით ჩვენს მტრულად განწყობილ მეზობლებთანაც. ასეთია ჩვენი ხალხი და მისი წიადიდან წარმოშობილი დემოკრატია, და ტყვიად ნურავენ ოცნებობს მის დაღუპვაზე, არა, ის არ დაიღუპება.

სილ. ჯიბლაძე.

მკრი ხლის წინათ

„(Тяжелый Крестъ“-იდან)

7 თებერვალი, 1919 წ., ტფილისი.

გაჩნდა ახალი, რეაქციის შავი ფრონტი! მოხალისეთა ბანდები შემოერთებულნი სოჭას და ჩვენი პატარა რაზმი იქ იღუპება. კონიევი და მუხრან ხოქოლადა სოქაში არიან. მათი ბედი ჩვენ არ ვუწყით. მე სახალხო გვარდიით მივემგზავრები ამ ფრონტზე. უნდა მოვკვდეთ ან გავიმარჯვოთ...

დღეს იყო დიდი თათბირი დიდი ნოეს თავმჯდომარეობით...

ლამით მივემგზავრები ფრონტზე. ჩქარა გადაწყდება ყველაფერი...

8 თებერვალი, 1919 წ., ვაგონში.

ჩქარა ვიქნებით ახალ-სენაკში. იქ უკვე სდგას ჩვენი ეშელონები, გზა და გზა შევიარეთ ჩვენს შტაბებში: შორაპანში, ქუთაისში და სამტრედიისში. გვარდიის მობილიზაცია ყველგან ჩინებულად მიმდინარეობს. მთელი ჩემის არსებით მივისწრაფი ფრონტისკენ; ჩქარა უნდა შევებათ რეაქციის შავ ძალებს და დავამსხვრიოთ იგი! ამაშია ჩვენი ამოცანა და ჩვენი მოვალეობა. გამარჯვების გარეშე ყველაფერი დაიღუპება...

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია გააღებულა. გამარჯვება ჩვენია, სოციალ დემოკრატების. მობილიზაცია ამორებს ჩვენს საუკეთესო ძალებს საარჩევნო ბრძოლას, მაგრამ ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ იქაც და აქაც!

ამინდი ცუდია, სუსხიანი. ეს ახდენს გავლენას ხასიათზე. მსურს მოკაშკაშე მზე...

გუშინ ჩვენ ვიყავით ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ალექსანდრემ, ვლადიმერმა და მე წავედით შტაბში, რომ მოგზადებულყოფიყავით. შემდეგ მოვიდენ ჩვენთან, ნოე, ევგენი და გერასიმე, გამოსამშვიდობებლად, ამან ჩემზე საგრძნობლად იმოქიედა. გმადლობთ თქვენ, ძვირფასო მიგობრებო! ჩვენ მოგიტანთ თქვენ გამარჯვებას!

1 თებერვალი, 1919 წ., ქვალონი. დილა.

გამოიღარა და მზე ათბობს. სული ნათლიბა და იშორებს თავის ჭიუნვას. მზის ქვეშ სიკვდილიც სახალისოა!.. მივემგზავრებით ფოთში. ვფიქრობთ ძალები ზღვით გადავსხათ. უნდა დროზე მივეუსწროთ. მე ღრმად ვარ დაწუქუნებული გამარჯვებაში, რეაქციონურ მოხალისეთა წინააღმდეგ ვიბრძოლიბთ გატაცებით! სიმღერით წავალთ ბრძოლაში და მოვიტანთ გამარჯვებას... თუ საქირებამ მოითხოვა შეგვიძლია წამოვავინოთ ათი ხუთმეტრი ათასი მეთამარი. ეს ხომ ჩვენ წინააღმდეგ მოდის შავი, უომობელი რეაქცია. და ის ჩვენ უნდა დავამსხვრიოთ! დღე მრავალი ჩვენთაგანი დაიღუპოს. სამშობლო დღესასწაულობს. მანუნდა იდღესასწაულოს! კონიევის ბედი მე ძალიან მაწუხებს. მინდა ვიწამო, რომ ის უვნებელი გადარჩება. ეხლა ჩვენთან მოემგზავრება სოსო. კარგი გენერალი და ძვირფასი ამხანაგია.

ნაზო და ნათელია, მოალერსე მზევე, გმადლობ შენ!

9 თებერვალი 1919 წ., ქ. ახალ-სენაკი.

ტელეგრაფთან. ღამეა. ველაპარაკებით სოხუმს და ტფილისს: ვლადიმერი, ალექსანდრე სოსო და მე. მოხალისეებმა უკვე დაიკავეს ადლოერი და მოიწვევენ წინ. ახალციხეში მდგომარეობა რთულდება. ცეცხლის რკალია დანთებული ჩვენს გარშემო! ყველაფერი დაღებულია სასწორზე და ყველაფერი უნდა ეხლა გადაწყდეს. მე სავსებით დამშვიდებული ვარ და მწამს გამარჯვება... სამიმოსვლო საშუალებანი ჩვენ ძალიან გვაფერხებს, მაგრამ ამას ბოლოს მოულებთ. უნდა გავიმარჯვოთ. გამოსავალი არ არის. დღეს გავემგზავრეთ ფოთში, მაგრამ ზღვით შეუძლოებელი გახდა მგზავრობა: არ არის გემები და ზღვაც საშინლად დღლავდა.

დავინახე ფოთის მწვანე, ძველი კოშკი.

„Королева играла в шахматы Шопена, И, внимая Шопена...“
 უცნაური სიმშვილით ვარ შეპყრობილი, მიუხედავად ამინდის სისაძაგლისა!.. და ეს სიმშვიდე მოგვცემს ჩვენ გამარჯვებას.

10 თებერვალი 1919 წ. ქ. ზუგდიდი.

გენერალი სოსო, მე, ალექსანდრე, ზაქარია გურულმა გავდგზავრეთ ენგორზე ბორანზე. ენგური ცოტა მომატებულია, მაგრამ ავტომობილების ბორანზე გადატანა შესაძლოებელია. ამინდი საზიზღარია, ეხლა ვითომდა გამოდარებას აპირებს.

11 თებერვალი, 1919 წ. ქ. ახალ-სენაკი.

ჯერ კიდევ ვიმყოფებით სენაკში. ამინდი საზიზღარი, მომაკიდნებელია, რაიც საძაგელ ხასიათზე გაყენებს. სული ტალახიანდება და იწამლება...

ყოველ მხრივ ცუდი ცნობები მოდის... ახალციხეს მოწინააღმდეგე უკვე მოუახლოვდა. გაგრასთან არავითარი კავშირი არ არის—შესაძლოა, დენიკინელები იქ იყვენ! ჩვენ კი, როგორც უმწეო ბავშვები, ვზივართ აქ და არ არის არავითარი შესაძლებლობა ჩქარა გავზინდეთ ფრონტზე. და, რა რიგ მწადია მოხვდე ფრონტზე, შეხვდე მრისხანე მტერს! დავამსხვრიო და გავაგლო ის!


ან და მოკვდე... რა რიგ ძნელია იყო ასეთი უმწეო... ბუნებასთან ვერაფერს გახთები. მე ყველაფერზე გაბოროტებული ვარ, მაგრამ ეს ნაკლებად მშველის. ერთი თხოვნაა: მზე და ამინდი!..

ამ ტალახში იკრუნჩხება სული და არ არის არავითარი ოცნება. დასქენა ის. ერთი სურვილი სავსებით მიპყრობს მე: ჩქარა ფრონტზე! ფრონტის დაღუპვით დაიღუპა ყველაფერი. და ჩვენ კი უნდა ვიხსნათ ყველაფერი!

11 თებერვალი 1919 წ., გალი. ღამე.

ეს-ეს არის ავტომობილებით მოვედით სამურზაყანოს დედაქალაქში. მინდა ვწერო, მაგრამ ჩემი ალერსიანი მასპინძელი, სოფლის ფერშალი, როგორც მომაბებრებელი ბუზი ჩემს გვერდით დამზუსის. ის ლაპარაკობს ძალა-უფლების სისუსტეზე, და მისი „ძალა-უფლების ფილოსოფიაში“ არის მრავალი მწარე სინამდვილე. საბედნიეროთ ის გავიდა ოთახიდან, და მე უბრუნდები თავის თავს.

დღეს მთელი დღე, განუწყვეტლივ მოდიოდა საშინელი წვიმა. ეს კლავდა ხასიათს და იწვევდა უძლოურათ გაბოროტებულს. მე მსურდა მეტირნა, მეკბინა



ჩემს ხელებზე, მეყვირა, გავგიჟებულიყავი. ამინდი საშინლად აფერხებს ჩვენს მოძრაობას, და ყოველგვარი დაგვიანება იწვევს სულში მწარე ტკივილებს. გამოუთქმელად სამძიმოა ყველაფერი ეს.. სოსოც შეწუხებულია... საწყალი და სახელოვანი გვარდიელები საშინლად დაიწუწუნენ, მაგრამ ყველა მხნეთ და ჩინებულ ხასიათზე არიან. მე ვუყურებდი მათ და ვფიქრობდი: „წმინდანებო! თქვენს ტანჯვა-ვაებაზე იზრდება ხალხის თავისუფლება. თქვენ თავის თავზე უფრო მიყვარხართ... მოხალისეებმა უკვე დაიკავეს გაგრა. ხვალ მე, სოსო და არტილერისტები — სახელოვან კარგარეთელის ხელმძღვანელობით — ვიქნებით სოხუმში.. თუ ხელს არ შეგვიშლიან ინგლისელები, წავაქცევთ, დავამსხვრევთ დენიკინელებს.“

12 თებერვალი, 1919 წ., ქ. სოხუმი. საღამო.

დღის პირველ საათზე სოსო და მე მივედით სოხუმში. ამინდი, გამოკეთებული დილას, საღამოს გადაიქცა საშინელებად: თოვლი, წვიმა, ქარი! ჩვენი გვარდიელები კი მიდიან ფეხით — დასველებულნი, მშიერი და დაღლილ-დაქანცულნი. ეს-ლა სოსო და მე ტელეგრაფთან ვართ. გვსურს ველაპარაკოთ ვლადიმერს ფოთში. მე მეშინია ვიფიქრო, რომ ვლადიმერმა გამოუშვა ჩვენი რაზმი ზღვით — ამ საშინელ ღელვაში... რა რიგ საძნელოა და შეუძლებელი აწარმოვო ასეთს პირობებში ომი. არ არის ზღვა და არც ხმელეთი! და რანაირი დანაშაულობაა: ერთი მუჭა გმირები არ იშურებს არც ძალას, არც ცხოვრებას, არც მოსვენებას და სწალია იხსნას საერთო ბედნიერება. და ეს „საერთო“ ამ ცივს, საშინელ ღამეში თბილად გწყობა თავის ქერ-ქვეშ! დანაშაულობით აღსავეს სიმშვიდე... სოხუმში არ არის პანიკა, მაგრამ მაინც დიდი არევ-დარევაა. ფრონტთან არ არის არავითარი კავშირი და არავინ იცის, სად არიან მოხალისენი. ალბათ ისინი მიუახლოვდნენ ბზიბს. ბენიას დიდებული გამომეტყველება აქვს და არა ნაკლებ დიდებულ ხასიათზეა.

ქარი ძლიერდება. მისი სისინი და სიცივე იჭრება სულში.

დღეს ჩვენთან კონტრ-ნაღმოსნით მოვიდა ინგლისის მეზღვაური ოფიცერი. ის კრეფდა ცნობებს ჩვენს შესახებ, ჩვენს განზრახვებზე და გვთხოვა არ გადავსულიყავით შეტევაზე. საზოგადოთ, ანგლისე-

ლების ყოფაქცევა უცნაურია, რა სურთ ჩვენგან?

„რასაც აკეთებ, გააკეთე ჩქარა.“

ვალეკო ჯუღელი.

ლაუქრული.

მოვჭკრივართ! მოვაფრიალებთ თავისუფლების ალაშსა! მტრებს ხანჯლებს დაუტრიალებთ, მოყვრებს გადავცემთ საღამსა!

სალამი ისეთს მეზობლებს, ვინც ძმებს გვიღებენ ძმურადა; ვინც არ იღებენ ჩვენზე ხმლებს და არ გვესხმიან მგლურადა!

ვინც გულში ღალატს ჰმაღავდეს და სამტროდ ემზადებოდეს, — მას ჩვენი რისხვა ჰზარავდეს და ჩვენი ტყვიით კვდებოდეს!

მოვჭკრივართ! მოვაფრიალებთ თავისუფლების ალაშსა! მტრებს ხანჯლებს დაუტრიალებთ, მოყვრებს გადავცემთ საღამსა!

გ. ქუჩიშვილი.

შეიარაღებული ძალის როლი ჩვენი სასელმწიფოებრიობის ცნობაში.

26 მაისს, 1918 წელს საქართველო აღიარებულ იქმნა თავისუფალ, დამოუკიდებელ რესპუბლიკათ. დარჩენილი ბრძოლის ველზედ თავისი საკუთარი ძალების ამარად, საქართველოს დემოკრატია ცალხელში ხმლით და მეორეში ჩაქუჩით სტედა თავის დამოუკიდებლობას და თითქმის გამუდმებულ ბრძოლის პროცესში უხდებოდა მას შენება ახალ შექმნილ სახელმწიფოსი, ღინჯად, გაბედულად ადებდა ქვას ქვაზედ თავის დემოკრატიულ რესპუბლიკის შენობას ასაგებად და ამგვარად მან მიიღწია თავის უახლოვეს მიზანს: შეინარჩუნა დიდი რევოლიუციის მონაპოვარი თავისუფლება, შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, ნამედვილ დემოკრატიულ პრინციპზედ და საფუძველზედ აშენებული, მოაწყო დემოკრატიული მუნიციპალური ორგანოები, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, გაატარა აგრარული რეფორმა ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ხალხის ინტერესები, მოწვია დამფუძნებელი კრება ხალხის ნების, სურვილს გამომხატველი უზენაესი დაწესებულება, რომელიც ორი წელია რაც რომ შეუწყვეტილ მუშაობს. ამ რიგად მოკლე ხნის ისტორია აქვს ჩვენს დამოუკიდებლობას, მაგრამ მდიდარია ის თავისი შინაარსით და ვინც მოკლელეტ მაინც გაითვალისწინებს ჩვენი დემოკრატიის მიერ განვიღო გზას დღეიდან დამოუკიდებლობის აღიარებისა, ის დაგვეთანხმება, რომ ყველა იმ დიდ საქმეში, რომელიც გაკეთდა დღევანდელამდის, უდიდესი როლი

ითამაშა რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალამ: ჯარმა და სახალხო გვარდიამ. 26 მაისიდან 1918 წლიდან ჩვენ რესპუბლიკას არ ქონია ისეთი წუთი, რომ ჩვენს შეიარაღებული ძალა ფრონტებზედ არ ყოფილიყოს.

პირველად ჩვენ სრულებით მარტონი ვიყავით, ჩვენ არავინ ანგარიშს არ გვიწევდა, არავინ არ გვეცნობილობდა როგორც სახელმწიფოს არც ფაქტიურად და არც იურიდიულად, და ამ მდგომარეობაში მყოფს ახალგაზრდა სახელმწიფოს უხდებოდა შინაურ და გარეშე ფრონტებზედ გამუდმებული ბრძოლა, და აი ამ ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის მტრებიც და მოყვრებიც თან და თან კრწმუნდებოდნენ ჩვენ საქმიანობაში, ჩვენს სახელმწიფოებრივობის უნარში.


სწორი პოლიტიკური ხაზი, შიგნით მედგარი, გაბედული ბრძოლა თავდასხმელების წინააღმდეგ, და კეთილ მეზობლური განწყობილება ყველასთან ვინც მტრულის თვალთ არ გვიყურებდა — აი უმთავრესი ის, რაც ახასიათებდა ჩვენი დემოკრატიის მუშაობას.

და ყოველთვის ჩვენი მტრები და არა მტრებიც ანგარიშს გვიწევდნენ იმდენად, რამდენად თვით ჩვენ ვიჩენდით საქმიანობას და თავდაცვის უნარს, და ეს უკანასკნელი ქონდა დაკისრებული ჯარს და გვარდიას, რომლებმაც თავიანთ თავგანწირული ბრძოლით მრავალ ხელ იხსნა ჩვენი ქვეყანა მოზღვავებული მტრებისაგან.

ჩვენი ხალხის შეგნებულმა მუშაობამ და მის შეიარაღებული ძალის თავდადებულმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო: საქართველოს რესპუბლიკა უმაღლეს საბჭოს მიერ ცნობილ იქმნა ფაქტიურად 1920 წლის დასაწყისში. ამ ცნობამ ჩვენს მუშაობას უფრო მეტი ფრთები შეასხა, მეტი სიმტკიცე და ბრძოლის უნარი შემატა.

გავიდა მას შემდეგ ერთი წელი და საქართველომ მეორე დიდი გამარჯვება იგება: 27 იანვარს, 1921 წელს იმავე უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველო ცნობილ იქმნა იურიდიულად. ამ რიგად ფორმალურად დადასტურდა ის, რაც ფაქტიურად არსებობს 26 მაისიდან 1918 წლიდან და ეს უკანასკნელი გამარჯვება არის უდიდესი ყველა იმ გამარჯვებებზედ, რომლებიც დღევანდელამდის უგემა ჩვენს დემოკრატიას. ამიერიდან საქართველო არის სრულ უფლებიანი სახელმწიფო და ერთი უახალგაზრდესი წევრთავანი საერთაშორისო ოჯახისა, ახალი ძალით და ენერგიით აღჭურვილი და მასთან პირველი და განსაკუთრებული თავისი დემოკრატიული წყობილებით ყველა არაებულ წყობილებათა შორის.

გაიმარჯვა საქართველოს დემოკრატიამ, მის მიერ არჩეულმა სწორმა პოლიტიკურმა ხაზმა და საქმიანობამ. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სწორი პოლიტიკა ვერაფერს გახდებოდა, რომ იმ საერთო არევდარევის დროს, როდესაც ჩვენ გვიხდებდა და გვიხდებოდა მუშაობა; ჩვენი შეიარაღებული ძალა თავის სიმალეზედ არ მდგარიყო. ამ მხრით ჩვენმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ არამცთუ შეასრულა თავისი მოვალეობა, არამედ მათმა მოქმედებამ და ბრძოლამ ყოვე-



ლივე მოლოდინს გადააჭარბა და მით საშვალემა მისცა ერის რჩეულ პირებს განეგრძოთ შიგნით აღმშენებლობითი მუშაობა. ასეთმა გაერთიანებულმა, შეთანხმებულმა მუშაობამ შიგნით მთავრობისა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოების, საზღვრებზედ ჯარის და გვარდიის, შექმნა პირობები, რომლებმაც გამარჯვება მოუპოვა ჩვენს ხალხს როგორც დაედაცვის საქმეში, ასე პოლიტიკაში. მომავალშიაც ჩვენ გვწამს, რომ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა ჩვეულებრივი სიმტკიცით და ენერგიით დაუდგება დარაჯათ თავის სამშობლოს, რომლის კეთილ დღეობისათვის სახალხო გვარდიამ და ჯარმა გაიღო ყველაზედ მეტი მსხვერპლი.

მის. ბაჟუნაიშვილი.

მიწის რეფორმა საქართველოში.

წერილი III.

რევოლიუციის პირველ თვეებშივე მაშინდელმა დროებითმა მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია მიწის საკითხს. სხვანაირად არც შეეძლო მოქცეულიყო, ვინაიდან მიწის საკითხი იყო მთავარი ღერძი რუსეთის დიდი რევოლიუციისა. პირველი კანონი დროებითი მთავრობის მიერ გამოცემული იყო მიმართული იმისაკენ, რომ დროებით შეჩერებულ იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა. ნოტარიუსებს და სხვა ორგანოებს აეკრძალათ წვესრულებინათ რაიმე აქტი მიწის შესახებ. ამის შემდეგ იწყება სწრაფი მუშაობა სოფლის საადგილ-მამულო კომიტეტების ორგანიზაციის მოსაწყობათ და ამ კომიტეტებს ევალებოდათ მოეკრიფათ წინასწარი ცნობები მიწის რაოდენობის და მემამულეთა და უმამულოთა შორის დამოკიდებულების შესახებ. რევოლიუცია იმ დროს მოხდა, როდესაც უკვე ზოგიერთ ალაგას გაცემული იყო, და ან მაშინ იცემოდა მიწები იჯარით; დრო არ ითმენდა დაყოვნებას და ამიტომ მაშინვე გამოვიდა სხვა და სხვა დეკრეტები იმას შესახებ, თუ როგორ პირობებში უნდა გაცემულიყო კერძო მესაკუთრეების მიწები. სადაც სანახევროთ იცემოდა მიწები—იქ დაწესდა მესამედი, სადაც სამესამედოთ იყო—იქ კი სამეხუთედოთ აქციეს და სხვა. ამრიგათ ლალა ძლიერ შემცირდა. ამ კანონებს ატარებდა ცხოვრებაში იგივე სოფლის კომიტეტები. ამ კანონებმა აშკარათ დაანახვა გლეხობას, სოფლის მოქალაქეს, რევოლიუციის მონაპოვარი. ერთ ათეული პროგრამაზე უფრო შესატყვისი, თვალთ საჩინო იყო ამ დეკრეტების ცხოვრებაში გატარების შედეგი.

რევოლიუცია თანდათან ვითარდებოდა, ან როგორც მაშინ ამბობდნენ, ღრმავდებოდა და ცხოვრება სხვა და სხვა კითხვებს აყენებდა. რუსეთში თავი იჩინა ბოლშევიკურმა ძალამ. 26 ოქტომბერს (ძველი სტილით) 1917 წ. მათმა საბჭოების ყრილობამ გამოსცა დეკრეტი, რომელიც ამბობდა: „სამუდამოდ ისპობა მიწაზე კერძო საკუთრება; არ შეიძლება მი-

წის არც გაყიდვა, არც სყიდვა, არც იჯარით გაცემა და რაიმე სხვა გზით დაფლობა. ყველა მიწები—სახაზინო, კაბინეტის, სამონასტრო, კერძო მფლობელთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ჩამორთმეულია უფასოთ, ხდება საერთო საკუთრებად და გადადის ყველა მშრომელთა სარგებლობაში“. ასე ერთი ხელის დაკვრით, მიწის მფლობელობის და ფონდის რაოდენობის გამოუყვლევლად გასჭრეს ის კვანძი, რომელიც ისკვნებოდა მთელი საუკუნოებით. რუსეთში მიწის საკითხის გადაჭრამ უფრო მტაცებლური ხასიათი მიიღო. 26-სი ოქტომბრიდან დაწყებული ჩვენი ხალხის გზა სულ სხვაა, ვიდრე რუსეთის. ის შეუდგა დემოკრატიულ და კანონიერების გზას. რაც შეეხება მიწით სარგებლობის ფორმებს, ჩვენც მიზანშეწონილ დეკრეტებს მივმართეთ. მიწის სარგებლობის ფარგლებში, ამ სფეროში სხვანაირად არ შეიძლებოდა მაშინ მოქცევა, ვინაიდან, როგორც ზევით ვთქვი, დრო არ ითმენდა დაყოვნებას, მაგრამ მიწის მფლობელობაში, მფლობელთა და სოფლის მუშებს შორის ურთიერთობის ძირიან ფესვიანად შეცვლის და სხვა ურთიერთობის დაყარებაში საჭირო იყო კანონმდებლობითი, უფრო დინჯი, დაფიქრებული და მიწის კანონების შესწავლაზე დამყარებული მიზანშეწონილი პოლიტიკა, მოქმედების გეზი. დაადგა რა ამ გზას ჩვენი ხალხი, ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წ. 16 დეკემბერს (ძველი სტილ.) გამოსცა მიწის დეკრეტი და 1918 წელში 7 მარტს (ძვ. სტ.) სეიმმა გამოუშვა კანონები, სადაც შემდეგნაირად იტრებოდა მიწის საკითხი: ყველა მიწები, როგორც სახელმწიფო, საეკლესიო, საუფლისწულო, სამონასტრო და აგრეთვე კერძო პირების (მემამულეების) განსაკუთრებულ ნორმის ზევით უნდა ჩამორთმევეოდა და გადასულიყო სახელმწიფო ფონდში. ამრიგად შეიქმნა მიწის ფონდი, საიდანაც უნდა დაეკმაყოფილებიათ უმიწაწყლო გლეხობა. მოისპო აგრეთვე ხიზნობა.

მემამულეებზე მიწის დატოვების ნორმა იყო შემუშავებული იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მიწა ნაყოფიერების მხრივ.

მაგ. იმ რაიონებში, სადაც აწარმოებდნენ ვენახის, ბაღების და სხვა მაღალი კულტურის მეურნეობას, მიწისმფლობელებს ნორმაში დაუტოვეს 7 დესიატინა; სადაც ხორბლეულობის მოყვანა იყო გავრცელებული, ეს მიეკუთვნა მეორე ხარისხის მიწას და ნორმაში დარჩათ 14 დესიატინა, მესამე ხარისხის რაიონებში, ან სადაც გავრცელებული იყო მესაქონლეობა, იქ დაუტოვეს 40 დესიატინამდე. შემდეგ იყო კიდევ დამატებითი კანონები, რომლის ძალით სოფლის სამიწადმოქმედო კომიტეტებს შეეძლოთ, თუ საჭიროთ დაინახავდნენ, ადგილობრივი პირობების მიხედვით გაედიდებიათ ნორმა; მაგ. პირველ ხარისხზე ათ დესიატინამდე და სხვა.

წინა წერილში აღნიშნული იყო, თუ რამდენი მიწა ეჭირა კერძო მიწის მფლობელებს საქართველოში. თუ რამდენი ჩამოერთვა ამ მიწებიდან ამას დავეინახავთ შემდეგი ცხრილიდან:

თბილისის მაზრაში	67,784 დეს.
სიღნაღის „	59,846 „
თელავის „	31,211 „
ბორჩალოს „	88,243 „
ღუშეთის „	40,039 „
თიანეთის „	29,846 „
ახალციხის „	75,927 „
ახალქალაქის „	12,145 „
გორის „	114,414 „
სულ მთელ თბილისის გუბერნიაში ჩამორთმეული იქნა:	504,637 დეს.
ქუთაისის მაზრაში	7,518 დეს.
ზუგდიდის „	2,764 „
ლეჩხუმის „	37,443 „
ოზურგეთის „	20,485 „
რაჭის „	81 „
სენაკის „	30,591 „
შორაპნის „	7,236 „
მთელ ქუთაისის გუბერნიაში ფონდში გადავიდა სულ—	106,126 დეს.

სოხუმის ოლქში ჩამოერთვათ სულ 58309 დ. მთელ საქართველოში (ბათუმის ოლქის გარდა) სახელმწიფოს ფონდში გადავიდა 662,072 დესიატინა მიწა. როგორც უმზერო, მიწის რეფორმას და მის გატარებას ცხოვრებაში სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო, რომელმაც, როგორც ჩამორთმევეა, ისე მიწების დარიგება (რაზუნდაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი), აწარმოვა კანონიერის გზით. ამაშია უდიდესი მნიშვნელობა და ღირსება ჩვენი ხალხის და მის მიერ არჩეული მთავრობის სააგარო ანუ სამიწადმოქმედო პოლიტიკისა, საქმიანობისა.

მანჯელი.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირის კონცესია.

ამ რამოდენიმე დღის უკან დამფუძნებელმა კრებამ განიხილა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის კონცესიის პროექტი. ამ პროექტის განხორციელებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. პროექტის ძალით ტყვარჩელის ნახშირის მალაროები ეძლევა იტალიის უდიდეს და უძლიერეს ფირმას დასამუშავებლად 45 წლის ვადით.

საქართველოს მიწა-წყალი მდიდარი არის სხვა და სხვა მადნეულობით. ჩვენი ქვეყნის გულში აუარებელი სიმდიდრე არის ჩამარხული, მაგრამ ყველა ეს განძი ჩვენთვის მკვდარია, რადგანაც ის დაუმუშავებელი არის და ჯერ-ჯერობით გამოუყენებელია.

რომ ყველი ის სიმდიდრე, რომლითაც ბუნებამ საქართველო დააჯილდოვა დამუშავებული და გამოყენებული იყოს, მაშინ საქართველო, გამარჯვებული და აღდგენილი პოლიტიკურად, ისევე ძლიერი და აღდგენილი იქნებოდა ეკონომიურადაც.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური და ფინანსური კრიზისის უმთავრესი მიზეზი არის წარმოების უქონლობა. ის მეურნეობა, რომელსაც ჩვენი ხალხი ეწევა, ვერ ფარავს მოთხოვნილებებს, და თუ მომავალშიაც ეს მდგო-

მარეობა გაგძელდა, ცხადია ჩვენი ქვეყნის ისედაც აფორიაქებული ეკონომიური მდგომარეობა სრულს კატასტროფულ და დაღუპვის კარამდი მიგვიყვანს. ჩვენი რესპუბლიკის მეთაურები ცდილობენ როგორმე თავი დააღწიონ ასეთ კატასტროფიულ ეკონომიურ მდგომარეობას და მათ მიერ დადებული ტყე-არჩელის ხელშეკრულება ერთი დიდი ნაბიჯი არის ჩვენში დიდი წარმოების დაწყებისკენ.

ტყეარჩელის კონცესიის ძალით ჩვენი ქვეყნის ერთი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეთაგანი ხდება უცხო კაპიტალის დამუშავების საგნათ, ამ რიგათ კარი ეღება ჩვენში უცხო კაპიტალს, რომლის დაუმხარებლად დღევანდელ ჩვენს პირობებში წარმოების დაწყება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ადგილობრივ არც საზოგადოებას, და არც კერძო კაპიტალს არ ძალუძს დაამუშაოს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე.

რაც შეეხება იტალიის კაპიტალის ჩვენში შემოსვლას კერძოთ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. იტალიას არა აქვს თავის საკუთარი სათბობი მასალა. ის იძულებულია ეძიოს ინგლისში, გერმანიაში და სხვა სახელმწიფოებში, რაიც იტალიის პოლიტიკურ სიძლიერეს აფერხებს. ამიტომ მისი არსებობის ინტერესი მოითხოვს, რომ ტყეარჩელის ქვანახშირი რაც შეიძლება მალე დამუშავებულ იქნას, ამრიგათ ხსენებული კონცესია განსხვავდება ყველა იმ კონცესიებიდან, რომლებსაც საეკულისაციის ხასიათი აქვს. გარდა ამისა თვით პროექტის პირობები ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ხელსაყრელია, მის ხორცის შესხმას ბევრი სხვა დადებითი მხარეები აქვს: გაყვანილი იქნება რკინის გზა, რომლითაც ისარგებლებს ის მივარდნოლი მხარე, გაძლიერდება და მოეწყობა შავი ზღვის ჩვენი პორტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულადაც.

ხელშეკრულებაში აგრეთვე დაცული არის სახელმწიფო კონტროლი და მუშათა კანონმდებლობა, ერთი სიტყვით პირობები კონცესიისა იძლევა მაქსიმუმს იმისას, რაც კი შეიძლება მოგვეცეს ასეთმა ხელშეკრულებამ, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში ხსენებული პროექტი საქმეთ რქევა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა გაძლიერდება.

გ. ბ

თანამედროვე წერილები.

III

დისციპლინა.

ყველა დისციპლინაზე მელაპარაკებოდნენ ახალგაზოლობის დროს, ახალ სალდათობის დღეებში...

დისციპლინა იყო მაშინ არა სასიამოვნო სიტყვა, არ მინდოდა გამეგონა, მძაღა ეს გულის შემაწუხებელი კილო, ერთი სიტყვით პირველად დისციპლინის გაგონება იყო ჩემთვის შიში, მწუხარება, სიძულვილი.

ეს ახალგაზრდობის ცელქობის დროს, როცა დაუდევარი ვიყავი, სიცოცხლე მიტაცებდა, ახალგაზრდული მაჯისცემა სდულდა, ბრძოლის ველს დავეძებდი, ვერ ვჩერდებოდი, როცა მქონდა სიხალისე და დიადობა...

ეხლა კი ძალზე მიყვარს დისციპლინა, სამხედრო დისციპლინა, ეხლა თან მაქვს დისციპლინის სიყვარული, ეხლა, როცა ახალგაზრდობა ჩემში აღარაა, როცა ძველებური სიცელქე მომკვდარია, როცა ამ სიკვდილის ეჭვები დამხვევიან, მე მიყვარს დისციპლინა...

მიყვარს და მესამე წერილში მინდა ვესაუბრო ჩემს ძვირფას ამხანაგებს, სიცოცხლით სავესე ახალგაზრდა ჯარისკაცებს, სახალხო გვარდიელებს...

ვიცი ჩვენში იყო და არის დისციპლინა, ვიცი არის ნება, ასრულება და მოვალეობისადმი მდუმარება, მაგრამ დისციპლინა მე მძულდა წინეთ და მიკვირს ეხლა და მინდა ჩემი აზრი იცოდეს ამხანაგებმა დღეს და რომ მოიგონონ მომავალში ჩემი საუბარი...

რადგანაც ხალხისათვის, მოძრაობისათვის, მხედარისთვის ყველაფერია დისციპლინა და ვისაც ესმის დისციპლინა, ვინც შეგნებულად დისციპლინის ორგანიზაციას ქმნის, იგი ძლიერია, უძლეველია, გამარჯვებულია...

რა არის დისციპლინა? ყველამ იცის ეგ სიტყვა, ყველას გაუგონია, ყველას დისციპლინა უნდა, მაგრამ ზოგიერთებს მაინც ეზარება, მაინც აფიქრებს...

სიტყვა დისციპლინა არც ქართულია, არც რუსულია, ხმარობენ ყველა ქვეყანაში და არის ლათინური...

დისციპლინა კი ნიშნავს მტკიცე ნებას, მაგარ წესრიგს, ძლიერ ორგანიზაციულად შეკავშირებას, სამხედრო მოძრაობას, სამხედრო ბრძანება-განკარგულების ხმა ამოღებლივ ასრულებას, ომის დროს მკაცრ წესებს...

დისციპლინას აქვს დიდი წაოსული, დიდი ისტორია ყველა ქვეყნის ჯარის ცხოვრებაში. დისციპლინა არის უდიდესი მცნება და ქვეყნად ჯარის გაჩენიდან ჩნდება დისციპლინა...

დისციპლინა არის გამარჯვება...

სამხედრო გამოჩინებულმა კაცებმა, სწავლულებმა დისციპლინა აღიარეს ჯარის აუცილებელ საჭიროებად და ყველა ქვეყნებს ჰქონდა და აქვს დისციპლინის შესახებ შეიუშავებული წესი, რიგი, მეცნიერება და ვისაც უკეთესი ჰქონდა დისციპლინა, ვასაც ყავდათ დისციპლინის მატარებელი ჯარი, ის იმარჯვებდა...

დისციპლინა წარმოიშვა ჯართან ერთად...

დისციპლინა ყველა ორგანიზაციას აქვს. უდისციპლინო ორგანიზაცია, არც ყოფილა და არც იქნება.

არის დისციპლინა სხვა და სხვანაირი: სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, პარტიული, მაგრამ მე ვლაპარაკობ სამხედრო დისციპლინაზე. ყველაზე მაგარი ეს დისციპლინაა. ეს არის სწორეთ არაჩვეულებრივი ისეთ კაცისათვის, რომელმაც არ იცის სამხედრო წყობილება, არ უნახავს სამხედრო ცხოვრება, „სტროი“ — შინაური სამსახური, შეტევა, თავდაცვა, საყარაულოზე დარაჯი, ომი...

პირველად, როცა მიიბრძანეს ჯარში ნიკოლოზის დროს, არც კი ვიცოდი თუ რა იყო სამხედრო დისციპლინა...

მასხოვს, ცივირუსეთის დეკემბერი იყო. ყინულებზე ვიდექით, ქარი გვიბერავდა და რამოდენიმე ათასი ახალგაზრდა ჯარისკაცები მწკრივად „სმირნაზე“ ვიყავით გაჩერებული. ქარი, ყინვა და სიცივეზე უფრო ძლიერი იყო ეს პირვანდელი დისციპლინა...

„სერიაკებს“ (ასე გვეძახოდნენ მაშინ გაუხედნელ ახალ გაწვეულ ჯარისკაცებს, „ნოვობრანცებს“) ჩამოგვიარა და მოკლეთ გველაპარაკა დივიზიის უფროსმა გენერალმა ვენტმა. მისი ლაპარაკი იყო დამაფაქრებელი. და თითქმის ყველას გულს მკაცრად მოხვდა მისი სიტყვები: „თქვენ უნდა იცოდეთ სალდათი ხართ. სალდათი სდგას რკინის დისციპლინის ქვეშ და აქ სიტყვა კი არ შეიძლება, არამედ იქნება ბრძანება, ასრულება...“

ძალიან თავისუფალი ბიჭი ვიყავი, არაფრის არ მეშინოდა, მაგრამ მოგეცათ ლხენა შიშის ქარმა გამიარა ტანში და ყაზარმაში ყველა დაღონებული დავბრუნდი...

მას შემდეგ შეუდექი დისციპლინის გაგებას, ახსნას და მინდოდა გამეგო რუსეთის იყო მოგონებული დისციპლინა...

ყველა „უსტავებში“, რომლებიც კი წავიკითხე, დისციპლინაზე იყო ლაპარაკი. ყველა, ვინც კი უფროსი იყო დისციპლინაზე ჩავგჩიხინებდა.

სინამდვილეში დისციპლინა მეტად ძლიერი აღმოჩნდა. მოგეცათ სიცოცხლე ისე დაგვაფეთა, რომ დისციპლინის პირველი შეყრა და მისი მოგონება ეხლაც მაფიქრებს...

დისციპლინა მაშინ ყველაზე მეტი საშინელი მტერი დარჩა ზარმაცებისათვის. აწეულ და მოხეტიალე ხალხისათვის...



თითქმის ყველა დაპყვიანა. ყველა თვის დარჯჯაში ჩააყენა და აჩვენა თვის აუცილებელი წესები...

დისციპლინა იყო ზარმაცობის მოწინააღმდეგე, თავაშვებულ ხალხის მტერი, უსაქმოს მდევნელი, სიწყნარის, წესიერების, მოძრაობის მშვენიერი მოციქული...

მართალია მაშინ დისციპლინას ხმარობდნენ თვისი ბატონობის დასაცველად, მაგრამ დისციპლინა, როგორც მცნება, ცხოვრების მოთხოვნის შინაარსი იყო მისაღები.

არის აუცილებელი...

მაშინ დისციპლინა გახდა ყველასათვის აჩრდილი და ამ აჩრდილის უხილავი ძალა გვიმორჩილებდა, გვიმონებდა და ამ დამორჩილებამ შექმნა ჩვენში მტრობა — სიძულვილის მაგიერ სიყვარული...

დისციპლინა იყო და არის ჩემთვის და სხვებისთვის სამსახურის, მოვალეობის, სიძლიერის, გამარჯვების თავაზიანობა, და ურიცხვი ამბები, ფაქტები ხალხს, ჯარს, ისტორია, იმას უჩვენებენ, რომ სამხედრო დისციპლინა არის უდიდესი რისხვა უდისციპლინო მტრებისათვის.

მახსოვს მრავალი ამბები ძველადაც, ეხლაც...

სოფ. კორეშტიშევში გალიციის მახლობლად იყო ბრძოლა იყო...

იყო ბნელი ღამე.

ცივი იანვარი...

მარჯვენა ფრთის რაზმს მეთაური მოუკლეს, პოლკოვნიკი რუდნევი, მოჰკლეს ოფიცრებიც. დისციპლინა დაირღვა, ღამით ჯარმა, რადგანაც დრო იშოვნა, ბრძოლას დახვევა არჩია და ბნელი ღამით მოელოდნენ გადარჩენას. აირია მარჯვენა ფრთა, ყველა „კამანდრობდა“ და ასეთ დროს მტერი შემოერტყა, არეული ნაწილი, უდისციპლინობით გაწყობილი, მახეში გაეხა, რამოდენიმე ასეული აჩხეს...

არევის, უდისციპლინობას მოჰყვა არა მარტო დამარცხება, არამედ უბედური, განწირული, ლაჩრული, სამარცხინო სიკვდილი.

მარცხენა ფრთამ კი იბრძოლა, მიუხედავად იმისა, რომ მეთაური მოუკლეს, მათ აასრულეს წინეთ შესწავლილი დისციპლინა და მეთაურის ანდერძი...

ეს იყო მაშინ...

დისციპლინა უმთავრესია, ვინც ეს არ იცის, მან უნდა იცოდეს უბედური სიკვდილი, თავის ღალატი.

დისციპლინის განვითარება კაცობრიობის, ხალხის განვითარებას დასდევს.

ხალხის მოძრაობასთან ერთად ვითარდებოდა...

დისციპლინით გამსჭვალული ჯარის მტკიცე და შეუპოვარი რკინის ორგანიზაციით გასალკდევებული მსვლელობა თავზარ-დამცემი იყო ქვეყნისათვის.

ვის არ გაუგონია ალექსანდრე მაკედონელი, უდიდესი სარდალი მას ქაშა შინა ძლიერი საბერძნეთისა.

საბერძნეთის დიადი და ბრწყინვალე ხანა მაკედონელის ხსოვნასთან, სახელთან არის შეკავშირებული. მაკედონელი იყო ძველი გამოჩენილი ნიჭიერი სამხედრო პიროვნება...

იგი ცხოვრობდა ჯერ კიდევ მეტად ძველ დროს, დიდი ხნის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე, ესე იგი იმ დროს, როცა საბერძნეთი ყვავოდა, საბერძნეთი იყო დიდი ქვეყანა, აკვანი მეცნიერებისა, აკვანი აღმოსავლეთის კულტურისა...

მაკედონელი გახდა უკვდავი გმირი კაცობრიობის ისტორიაში და მაკედონელის ხანა აღიარებულია საბერძნეთის ძლევა მოსილ დიდების ეპოქად.

მაკედონელის მასწავლებელი იყო მეტად ჰკვიანი, უდიდესი მასწავლებელი საბერძნეთისა ფილოსოფოსი არისტოტელი.

არისტოტელიდან მოწაფემ მიიღო ცოდნა, შეისწავლა ყველაფერი და მაკედონელმა მისცა კაცობრიობას პირველი სამხედრო დისციპლინა.

მაკედონელმა შექმნა წესრიგით სავსე მოწყობილი, გამბედავი, უძლეველი ჯარი. მან შეიტანა სამხედრო რაზმებში სიხალისე და სიცოცხლე, მან შეაყვარა ჯარს დისციპლინა და დისციპლინამაც სამუდამოთ დაიმკვიდრა ჯარის გულში, გამოხატა ჯარს სიყვარული.

მაკედონელის დროიდან იწყება დისციპლინა. მაკედონელის დროიდან გამოჩნდა ძლიერი სამხედრო ორგანიზაცია...

მაკედონელის ჯარებმა დაიპყრეს ქვეყნის უდიდესი ნაწილი და ძველი ისტორიკოსების მოთხრობით მაკედონელი ჩვენშიაც იყო თვისი ძლიერი ჯარით...

მაკედონელის ჯარში იყო დისციპლინა, მაკედონელის ჯარი ასრულებდა ბრძოლას, არ იყო მასში არავითარი რყევა, არავითარი უწყსრიგობა, არამედ იყო სმენა, სამხედრო პლანის ასრულება. სიკვდილი ღირსეული.

მან თავის კვალი დასტოვა, თავისი სახე მოგვცა და ერთი სიტყვა ისტორიაში: **დისციპლინა, გამარჯვება...**

როცა მე მსმენია, გამიგონია ან წა-

მიკითხავს ესა თუ ის ადამიანი მოძრაობა, ყოველ დროს ერთი ამოცანა გამიყვავია და გამიგია; ჯარი, რომელიც კი ყოფილა ძლიერი დისციპლინით ყველგან გამარჯვებული გამოსულა. ჯარი, რომელიც უდისციპლინოთ მტერთან ომში შემბულა ყველგან დამარცხებულა, დაშლილა, დაუღუპავს თავი, დაუღუპავს ქვეყნის საქმე და ლაჩრის სახელით მონათლული ისტორიაში...

მართალია ძნელია დისციპლინის ატანა, მაგრამ უდისციპლინობა პირიქით უფრო საშინელია და მავნებელი...

მე მაშინვე მომაგონდა წაკითხული, გაგონილი დისციპლინის შესახებ, როცა გენერალ ვებტმა პირველად გვესაუბრა, და მის საუბარის შემდეგ ჩვენ ცხოვრებაში ვიგემეთ დისციპლინა...

სასერიო იყო სალდათობაში ჩვენი პირველი დღეები.

სახლში თავისუფლად მეძინა, სანამდის მინდოდა, ყაზარმაში გათენებამდის ამდგარი ვიყავი, ჩაცმული, გამზადებული, რადგანაც ამას მიბრძანებდა დისციპლინა. წინეთ თავისუფლად მივდიოდი, როგორც მინდოდა ისე მივაბიჯედი ფეხებს, სადაც მინდოდა იქ დავსეიონობდი, ჯარში სტროიც მაწავლეს, სიარულიც, ნაბიჯიც „პორციობით“ გაქცევა „ბეგომ“, და უნებართვოდ ვეღარსად მივდიოდი...

ასეთი იყო დისციპლინის ძალა.


წინეთ ვინც რამეს მეტყუოდა პასუხს გავსცემდი დამავალბებდა რასმეს მინდოდა ავასრულებდი, არ მინდოდა არა, აყალმაყალს აძიტებდა მეც აუტყუდი, დამარტყა და დავარტყაძდი, ჯარში კი მეტყუოდნენ, მიბრძანებდნენ ვასრულებდი, გამიწყებოდნენ მღუპარებით შევეგებებოდი, რადგანაც იყო დისციპლინა...

სადარაჯოზე წავიდოდი, ვდარაჯობდი, არ დავიძინებდი, ფრთხილად ვიყავი, მზად მტრისათვის, რადგანაც მეშინოდა დისციპლინის...

ქუჩაში წყნარად მივდიოდი, არ დავთვრებოდი, უწყსოებას არაფერს ჩავიდენდი, თავდაპერილად, სწორად მხედრის შესაფერად დავდიოდი, რადგანაც მახსოვდა დისციპლინა...

სამხედრო აღლუმების დროს, მთელ ჯართან ერთად მწყობრად წყნარად ვისმენდით ვასრულებდით ყოველივეს, რადგანაც ჩვენთან იყო მორიდება და შიში დისციპლინისა.

მძულდა ძველი რეჟიმის დროს სამსახური, ისე როგორც მძულდა დეზერტირი, მაგრამ შემიყვარდა დისციპლინა



სახალხო გვარდიელები სოჭის მახლობლად.

რადგანც დისციპლინამ გაპაცოცხლა, შემაყვარა საქმე, მომცა დაღინჯებული ნება, ძლიერი ხასიათი, საქმიანი მოძრაობა, გამოცდილება, ცოდნა ცხოვრების კანონებისა...

ჩვენ, როგორც მეორე წერილში აღვნიშნეთ გვაქვს სამშობლო, სამშობლო მშრომელი ხალხის... სამშობლოს სჭირია დაცვა, დამცველი ჯარი მოდარაჯეა ქვეყნისა...

ის, ვინც დარაჯობს, მან უნდა იცოდეს დისციპლინა, მას უნდა უყვარდეს ასრულება...

იტალიის სამშობლოს შვილი, კეთილი მამულიშვილი გარიბალდი ასე ეუბნებოდა ჯარისკაცებს: იყოს, შვილებო, გაჭირვება, იყოს დაცინვა, ბრძანება, დისციპლინა, იყოს არა იმიტომ, რომ ასე გესურს, არამედ ასე აუცილებელია, რადგანც სამშობლო განსაცდელშია, მამულიშვილი შევლას მოითხოვს... უნდა იყოს მღუმალება და ასრულება საქმისათვის!!

გარიბალდი იყო უდიდესი შვილი თვისი ქვეყნის და საყვარელი პირი იტალიის ჯარისკაცებისათვის, ის ასწავლიდა ჯარს დისციპლინისადმი პატივისცემას...

რათ გვინდა ძველი დროის ჯარის დისციპლინის მოგონება, ყველამ უნდა იცოდეს უდისციპლინობა არის მტრობა თავისთვის...

ჩვენ წინ მრავალი მაგალითებია, ურიცხვი ამბები...

კიდევ უნდა მოვიგონოთ ზოგიერთები...

ნაბაღეონმა მაკედონელის შემდეგ სამ-

ხედრო დისციპლინას მისცა დასრულებული სახე...

მხოლოდ უდიდესი დისციპლინა საბოლოოდ გაამტკიცა გერმანიის ხალხმა. ყველაზე მეტი მტკიცე ჯარის ორგანიზაციის სახე, დისციპლინა იყო გერმანიისა...

გერმანელები იყო და არის საქმის ხალხი, გერმანელებს ყავდათ ძლიერი ჯარი, გერმანელებს ჰქონდა არაჩვეულებრივი დისციპლინა... იქ იყო საქმე და არა ლაპარაკი...

იქ იყო მოქმედება... ჩვენმა ხალხმა იცის გერმანელების ჯარის თავგანწირული ბრძოლა და ჩვენ ხალხს უნახავს მწყობრივი გერმანელების ჯარი...

გერმანელებმა შექმნეს რკინის დისციპლინა და მისი ისტორია მიუხედავად დამარცხებისა, არის ყველგან სამხედრო გამარჯვებებით სავსე.

ომში დისციპლინა არის უძლიერესი იარაღი, თვით ზარბაზანზე, ტყვია-ყუმბარაზე...

შინ დისციპლინა არის უდიდესი ძლიერება შეგნებისა, სიმტკიცისა...

რა მოჰყვება უდისციპლინობას? რა შედეგი ახლავს?

ყველამ იცის ეს, გარდა გიჟებისა... ავიღოთ რუსეთის ჯარის დაშლა...

გამოაცხადეს თუ არა თავისუფლება ჯარმა თავისუფლება თავისუფლად ახსნა.

უკუ ავდო დისციპლინა, კანონი, გასთელა უმადლესი ტრადიცია სამხედრო ძირითადი დებულებებისა და გაიქცა სახლში, შინ თავის სოფელში.

გაიქცა, მაგრამ დაინგრა რუსეთი,

დაჰკარგა მთელი სიმდიდრე, ნამდილი დისციპლინა და ეხლა რა მიიღო რუსის წითელმა არმიელმა?..

უარესი დისციპლინა, უარესი ბარბაროსობა.

გაიხსენეთ ჩვენი ჯარის არევ-არევა და ყველასათვის ნათელი იქნება თუ რა ყოფილა უდისციპლინობა...

მე მოგონება მეზიზღება იმ სამარცხინო ამბების, რომლებიც მოჰყვა უდისციპლინობას რევოლიუციის პირველ დღეებში...

სწავლული ხალხი ხსნას ეძებდა და ეძებს დისციპლინაში.

დისციპლინის შესახებ გარდა გზა აბნეულებისა ყველა ერთი აზრისა, ყველას სწამს. მართალია ბოლშევიკ-კომუნისტები თუ მათი მომხრე არაა ჯარი, მაშინ იქ ცდილობენ დაარღვიონ დისციპლინა. დაშალონ ჯარი, გამოიწვიონ არევ-დარევა და თუ ბედნიერება გეწვია და მათ წითელ ჯარში წაგაბრძანეს, მაშინ იქ ნამდილი დისციპლინის მაგიერად თუ რაიმე შეგცდა ბარბაროსულად დაგსჯიან, დაგვხვრეტენ. იყო, არის და იქნება საქირო დისციპლინა, პრუსიის სარდალი მორიც საქსონელი ამბობდა: „დისციპლინა სამხედრო ორგანიზმის სულია, თუ ის არაა აღღვნილი შეგნებულად, თუ ის მტკიცედ არ მაგრდება ჯარში. მაშინ არმია არაა, არის საშიშარი ბრბო მეტათ საფრთხე სახელმწიფოსათვის ვინემ მტერი. დისციპლინით გამტკიცებელი ჯარი კი მომზადებულია დიდი საქმისათვის“

გერმანიის ცნობილი სარდალი მოლტკე, რომელმაც დაამარცხა საფრანგე-



რკინის-გზის რაიონის გვარდიელები, გმირულათ დასოციალური მუშაობითან ბრძოლაში.



ფანჯარაძე ნესტორ ივანის ძე.

მოპკ. სომ. ფონ. ს. ეკატერინეფელდში 1918 წ. 19 დეკ.



ფანცულაია ლავრენტი ნიკოლოზის ძე

მოპკ. სომხ. ფონ. ს. ეკატერინეფელდში 1918 წ. 19 დეკ.




შენგელია კონსტანტინე ილიას ძე.

მოპკ. სომხ. ფონ. ს. ეკატერინეფელდთან 1918 წ. 19 დეკ.




ეპიტაშვილი კონსტანტინე ილიას ძე

მოპკ. სომხ. ფონ. ს. ეკატერინეფელდში 1918 წ. 19 დეკ.



ჯლარკავა სამსონ ბახვას ძე

მოპკ. აღერბ. ფონტზე ასპინძის სიმაღ. 1920 წ. 12 მაისს.



გიორგიშვილი ვლადიმერ ბესარიონის ძე

გარდ. აღერ. ფონ. ასპინძის სიმ. მიღებულ კრილოვისგან 1920 წ. 1 ივნისს.

თის ჯარი სედანთან ამბობდა: „დისციპლინა გამარჯვების დედაა და უმისოთ ჯარს აქვს სახე საშინარი ბრბოსია“.

ცნობილი ბისმარკი, კი სწერდა თავის ბრძანებაში: „დისციპლინა ბადებს იმ წესრიგს, კავშირს ყველა სამხედრო ნაწილებში, რომელიც აკეთებს შეიარაღებულ ძალთა გაერთიანების საქმეს ერთმთავარ წერტილზე—დაიმორჩილე საქმისათვის ფიზიკური ძალა“.

ამ უდიდეს სარდლების აღნიშნული აზრი შინაარსია მთელი დისციპლინისა. მართალია, ესენი იყვნენ დიდი ჯარების სარდალები, მათ სხვა აზრები ჰქონდათ, მაგრამ საფრანგეთის მუშათა კლასის საუკეთესო შვილი, მისი ბელადი ჟორჟისიცი, როცა ბურჟუების დებუტატებს ეკამათებოდა დისციპლინაზე ამბობდა; „სა-

ხალხო შეიარაღებულ ძალებს ვაყენებთ სამშობლოს ნამდვილ დამცველებად, რომელთაც არ ექნებათ სხვა ზრახვები, მხოლოდ სახალხო შეიარაღებული ლაშქარი დაიცავს დისციპლინას თავის უმაღლეს მოთხოვნაში.“

გერმანიის მუშების ბელადი ბებელი კი სწერდა თავის წიგნში: „შეიცვალოს უნდა ფორმა და ახალი ჯარი კიდევ უფრო გამტკიცებს დისციპლინას“.

როცა რუსეთის ჯარები დაიშალა ფრონტზე, გამოიქცნენ სახლში. გერმანიის მუშათა კლასის წარმომადგენელმა შეიდემანმა გერმანიის პარლამენტში (რეიხსტაგში) ეს მოვლენა საშწუხაროთ აღიარა და სთქვა; „განა შეიძლება ენდო, ერწმუნო ფრონტიდან გაქცეულ ბანდასო“... გერმანიის საერო კრებაში

კი 1919 წელს ახალმა მინისტრმა ნოსკემ განაცხადა; „ჯარი უდისციპლინოთ სისულელეა“.

ამ გვარად მეცნიერება, სწავლული ხალხი, ბრძოლაში გამოცდილი ჯარისკაცები, მხედრები, საქმიანი პირები ეთხმად აღიარებენ—**დისციპლინის აუცილებლობას**. ჯარი უდისციპლინო ბრბოა, ბრბო ყოველ დროს უძლურია, დამარცხებულია...

ჯარი უწესრიგოთ,—ბანდაა, ბანდა კი გაქცეული, დაშლილი მტრისაგან დამარცხებული მშინარა ნაწილია ჯარისა.

დისციპლინა არის მტკიცე ჯარისკაცის, გვარდიელის ნუფეში, ბრძოლის დროს ვაჟკაცობა, გმირული გატაცება, ღირსეული მოკავშირე გამარჯვებისთვის... უდისციპლინობა არღს ფრონტის დაშლა,

საქართველოს
გვარდიელები



ზურგის არევა, სულიერი განწყობილების, მხედრული სულის განელება, ლაღატი და ცემა, დამარცხება.

დისციპლინა არის ბრძანების, მოვალეობის ასრულება... საქმის სიყვარული, სიხალისე, ნდობა ხელმძღვანელობის, მოძრაობის...

წინსვლა, ორგანიზაციულად დაწყობილ ხალხის უძლეველი ნება, მისი იერიში წინ გამარჯვებიდან გამარჯვებამდის...

უდისციპლინობა არის საქმის უნდობლობა, ბრძანების, მოვალეობის აბუჩად აგდება, მოძრაობის გამსახარავება, თავისთავის ლაღატი, უკან გამოქცევა, უნდობლობა და დამარცხებით სიკვდილი.

ვინც მებრძოლია, ჯარისკაცია, გვარდიელია, თოფი ხელში აუღია, ბრძოლაში მიდის, გმირულ თავგანწირვის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელს სწერს, მან უნდა იცოდეს, **დისციპლინა მისი ამხანაგია, დისციპლინა მისი გამარჯვების თავდებია.**

ის, ვინც თოფს ხელში იღებს, არავის ემორჩილება, დისციპლინა არ სწამს, თავაშვებული ავაზაკია — მწყობრი მოძრაობის მოწინააღმდეგე პრავაკატორია, იგივე დეზერტირია, საერთო საქმის, სამშობლოს ძმის მოღალატეა და ამავე დროს თავისივე თავის გამცემია...

სახალხო გვარდიელი, ჯარისკაცი მოლაშქრეთა ისტორიული რაზმის წევრებია, და დღეს მათ შექმნეს ისევე დიდი მწყობრი დისციპლინა, მათი ქორწინება დასრულებულია და აღარავის არ უნდა ჰქონდეს ნება ეს დაარღვიოს...

სამხედრო დისციპლინა ომის დროს, დისციპლინა შინაურ მოვალეობის ასრულების დროს — ყველას აწერია და ამავე დროს ყველამ იცის სამხედრო მოვალეობის შემდეგ მოქალაქეა რესპუბლიკის, მოქალაქეა თავისუფალ საქართველოს, მოციქულია მომავალი მშვიდობიანობის და მას სჭირდება, სჭირია ძველი დროიდან ჩასახული მაღალი ნების დისციპლინა, ის განასახიერა თავისახალ გამარჯვების მოძრაობაში და ყველას, თუ კი ვინმე განიზრახავს ეტყვის — **ფრთხილად დისციპლინა არ დაივიწყო, ლაღატი არ გააკეთო!**..

ეს შეგნება არის... და ყველამ იცის. მე არ შეშინია ბრძანების, ვინც უნდა იმან მიბრძანოს, მხოლოდ გავაკეთოთ ის, რაც დაგვავალა ისტორიამ და ერთ

წუთს არ დავივიწყოთ — **დისციპლინა და გამარჯვება...**

სახ. გვარდიელი გერეტი.

მისალმნი დაკავშირებული

I.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის ბამო.

აშაგა-სეკაღი. ურონტზე მყოფი სახალხო გვარდიის მესანგრე ბათალიონის პირველი გუილის გვარდიელები გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობას.

მესანგრე ბათალიონის პირველი გუნდის გვარდიელები.

ქ. დუშეთი. დუშეთის საოლქო შტაბი გილოცავთ ჩვენი რესპუბლიკის იურიდიულად ცნობას.

ტატე შუშიაშვიდი.

მანგლასი. მანგლისის რაიონის გვარდია ღრმა აღფრთოვანებით ეგებება დიად დღესასწაულს: საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს მიერ. ფიცს ვდებთ დიადი ბედნიერება შევიხარჩუნოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

თავმჯდომარე სოხელია. მდივანი ხერხეულიძე.

ყარაიანი. სახალხო გვარდიის გურიის ბათალიონის სახელით მოგილოცავთ ქართველი დემოკრატიის თავდადებულ ბრძოლით მოპოვებულ მორიგ გამარჯვებას — უმაღლესი საბჭოს მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის სახით. გურიის გვარდია ფიცსა სდებს კვლავინდებური სიმამაცით უკანასკნელი სისხლის წვეთამდე განავრძობს ბრძოლა, მოპოვებულ უფლებების შესანარჩუნებლად თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით.

ჩხაიძე, ხომერიკი.

ქ. დუშეთი. ხმოსანთა საბჭო, შეკრებილი თავის საზეიმო სხდომაზე, აღფრთოვანებას გამოსთქვამს საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო ევროპის უმაღლეს საბჭოს მიერ, რაც აგვირგვინებს ჩვენი დემოკრატიის მხნე და ენერგიულ მუშაობას. გილოცავთ გამარჯვებას, დღეიდან გვეძლევა შეძლება შევუდგეთ ნამდვილ აღმშენებლობითი მუშაობას უზრუნველყოფილი მრავალ ვერაგ მტრებისაგან, რომლებიც გვიქადდენ წალეკას. „ივერი აღსდგა ძლიერი და დასდგა ერად სხვა ერთა შორის“. გაუმარჯოს ინტერნაციონალს! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, მის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას.

პრეზიდიუმი.

ახალხენაკი. სენაკის მცხოვრებთა მრავალიცხოვანი მიტინგი შემდგარი 30 იანვარს

სალამოს ექვს საათზე უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად აღიარების გამო, საქართველოს ხალხებსა და დამფუძნებელ კრებას, მთავრობას, სახელოვან გვარდიას და რესპუბლიკის ნორჩ ჯარს და ულოცავს მათ საქართველოს დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვებას. ჩვენი რესპუბლიკის იურიდიულად აღიარება ბრწყინვალე გამარჯვებაა არა მარტო ჩვენი დემოკრატიის, არამედ საერთაშორისო დემოკრატიისაც. გვრწამს, რომ ამ გამარჯვებას ღირსეულად გამოიყენებს საქართველოს დემოკრატია.

მიტინგის თავმჯდომარე ანდრო ანჯაფარიძე.

ქ. დუშეთი. მთელი მაზრის მშრომელი ხალხი აღფრთოვანებულია საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო. მაზრის ბუნებაც კი ზეიმობს დღეს. გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას საერთაშორისო პოლიტიკაში. სალამი ჩვენს სახელოვან ქალარა ბელადს ნოე ყორღანიას.

ერობის თავმჯდომარე ჭიანიშვილი.

ყაზბეგი. ყაზბეგის სახალხო გვარდიის რეზერვი და კადრი სიხარულით ეგებებოდა საქართველოს იურიდიულად ცნობას. ფიცს ვსდებთ დემოკრატიულ საქართველოს წინაშე მტკიცედ და შეურყეველად დავიცათ ჩვენი ქვეყნის ბედნიერება.

ყაზბეგის ხარაიონა გვარდიის შტაბი.

შულავერი. სახალხო გვარდიის მესამე იმერეთის ბათალიონი განსაკუთრებული ზეიმით ეგებება უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარებას. ფიცსა სდებს, რომ იგი როგორც აქამდის იბრძოდა მისი განმტკიცებისათვის, შემდეგშიც გაორკეცებული ენერგიით დაცავს სამშობლოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საერთაშორისო პროლეტარიატის საკეთილდღეობათ.


ბათალიონის უფროსი ლაბაძე.

ანი. უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის გამო მოგესალმებათ და მოგილოცავთ ონის ქალაქის ხმოსანთა საბჭო. ეს დიდი გამარჯვება უპირველეს ყოვლისა შეიძლება საქართველოს შეიარაღებულ ძალების საარაკო თავდადებისა სამშობლოსთვის. ვუსურვებთ ფრონტზე მდგომ ჯარს და გვარდიას კვლავ გამარჯვებას დაუძინებელ ვარეშე მტრებზე.

საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი გოზბეგი შვ.ლი.

ჩხარბი. ჩხარის თემის მოქალაქეები გილოცავთ საქართველოს იურიდიულად ცნობას. მიიღეთ და გადაეცით გულწრფელი სალამი ევროპის დემოკრატიას, ჩვენი სახელმწიფოებრივობა და ჩვენი მუდამ თქვენთან ვიქნებით. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

თავმჯდომარე შიქაშვიძე.



ბათომი ჩემდამი რწმუნებული ათასეულის სახელით მოგილოცავთ ისტორიულ აქტს: საყვარელი სამშობლო-საქართველოს იურიდიულად ცნობას. დღეიდან მეტის სიამაყით ვემსახურებით მის კეთილდღეობას.

პოლკოვნიკი ჯაფარიძე.

მეცხრე ასპინძის ათასეულის ოფიცრები და ჯარის-კაცები წრფელი გულით მოგილოცავთ თქვენ და მთელ გვარდიის შემადგენლობას ისტორიულ დღეს: სამშობლოს საბოლოოდ დამოუკიდებლად ცნობისა. იმ დიად საქმეში, რომლის ნაყოფი არის ზემოხსენებული აქტი, თქვენ მიგიძღვის უდიდესი ღვაწლი, როგორც ღირსეულ და აქტიურ დამცველებს სამშობლოს და მისი დემოკრატიის ინტერესებისას. მიიღეთ ჩემგან გულითადი სალაშქრო.

პოლკოვნიკი ვაჩნაძე.

ზუგდიდი. ზუგდიდის გვარდია აღტაცებით ეგებება საქართველოს იურიდიულად აღიარების ამბავს. ქართველი დემოკრატია ნელის, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ უკეთეს მერმისისაკენ თავისი ბელადების ბრძნული მოქმედების წყალობით. ზუგდიდის გვარდია ყოველთვის მხარში უდგას თავის წინამძღოლს და მზათაა სისხლისაგან დაცვას საქართველოს სუვერენული უფლების და ქართველი დემოკრატიის თავისუფლების დაცვაში.

ზუგდიდის შტაბი.

სიღნაღი. სიღნაღის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება აღტაცებით გილოცავთ საქართველოს იურიდიულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას. საბჭო ფიცსა სდებს, რომ იგი თავის მუშაობით ხელს შეუწყობს საქართველოს წინსვლას დემოკრატიის საკეთილდღეოდ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, მთავრობას, თავგანწირულ ჯარს და გვარდიას.

საბჭოს თავმჯდომარე **კრაწაშვილი.**

სიღნაღი. პირველ თებერვალს ქალაქ სიღნაღში შეკრებილი მრავალრიცხოვანი მიტინგი საქართველოს იდეურად ცნობის გამო დიდ სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს მიერ, მიესალმება საქართველოს შეიარაღებულ მხედრობას—გვარდიას და ჯარს, რომელთაც თავისი წმინდა სისხლი დღევანდლამდე ბრწყინვალე გამარჯვებამდე მოიყვანეს საქართველოს რესპუბლიკის არსებობა. მიტინგი დარწმუნებულია, რომ გვარდია და ჯარი კვლავაც გაორკეცებული ენერგიით დაიცავენ მოპოვებულ თავისუფლებას და ამით სამუდამოთ განამტკიცებს საქართველოს უკვე სრულიად დამოუკიდებელ რესპუბლიკის არსებობას.

მიტინგის თავმჯდომარე **ჯანბერიძე.**

ქუთაისი. ქუთაისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და გამგეობათა გაერთიანებული სახეიმი სხდომა საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარების გამო გილოცავთ თქვენ საქართველოს დემოკრატი-

ის ბრწყინვალე გამარჯვებას და ღრმად სწამს, რომ საქართველოს მუშათა კლასი, სახელოვანი ჯარი და სახალხო გვარდია ახალ პირობებში მეტის ენერგიით და სიმტკიცით განაგრძობენ წინსვლას კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისაკენ. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, გაუმარჯოს სოციალიზმს!

კავშირთა საბჭოს

თავმჯდომარე **გიორგი ტუხუცია.**

სალოღლი. იმერეთის მეორე ბათალიონი გილოცავთ ნორჩი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობას. ამ ფაქტს, როგორც რევოლუციის მონაპოვარს და ერის უდიდეს გამარჯვებას, ღირსეულად ვაფასებთ და მზათა ვართ სისხლით დავიცავთ.

ნინუა.

გენერალური შტაბი. გილოცავთ ჩვენი ერის ისტორიის უბედნიერეს დღეს—იურიდიულად ჩვენს ცნობას. გისურვებთ გამარჯვებას თქვენს თავდადებულ მუშაობაში.

გენერალი იდეშელიძე.

ფოთი. ფოთის გადამტვირთველ მუშათა პროფესიონალურ კავშირის წევრების საზოგადო კრება აღფრთოვანებულია უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობით. მოგვსალმებით, გვრწამს, რომ თქვენი დიადი ბრძოლის ნაყოფია საერთაშორისო დემოკრატიისთან ერთად ევროპის იმპერიალისტების ქედის მოხრა ჩვენს წინაშე. გისურვებთ სრულ გამარჯვებას.

კრების პრეზიდიუმი.

გუდაუთი. გვარდია, ჯარი და მოქალაქეები გილოცავთ ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას. გისურვებთ დიადი მიზნების განხორციელებას და რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცება-შენარჩუნებას.

გეგენავა, ნადარეიშვილი.

აბაშა. 31 იანვარს მოხდა დიდი ყრილობა ლეხინდროვო-ონოლის თემისა, რომლებმაც ილღესასწაულეს 27 იანვრის მოკავშირეთა მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობისა. გილოცავთ გამარჯვებას. თქვენთან ერთად სამშობლოს უსურვებთ აღორძინებას და ბრძოლაში გაწვრთნილ ქართველ დემოკრატიას—თავისი იდეალის აღსრულებას.

ლენინდრაგო და ონოდეს თემი.

სამტრედი. სამტრედიის ქალაქის საბჭო ულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობას სახალხო გვარდიას და ჯარს და აღიარებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის საძირკველი არის მათ მიერ ჩაყრილი და გამაგრებული. ამასთანავე დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები კვლავ ერთგულად განაგრძობენ თავისი მავარი მკლავით სამშობლოს ინტერესების დაცვას. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიის მოწინავე შეიარა-

ღებულ რაზმს—სახალხო გვარდიას და ახალგაზრდა დემოკრატიულ რესპუბლიკას. საბჭოს თავმჯდომარე **სალოღლი** უფროსი ამხანაგი **იგ. კიკაბიძე.**

წითელი ხადი. თქვენის მეთაურობით ორი წლის განმავლობაში საქართველოს საზღვრებზე მოქმანთე მუშათა კლასის ხმალმა მრავალი ბრწყინვალე გვერდთა შორის შესძლო უბრწყინვალესი სტრიქონების ჩაწერა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში: მისი იურიდიულად ცნობა. მოგილოცავთ რა ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას, გთხოვთ გვიგულოთ რესპუბლიკის ერთგულ გუშაგათ. გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს! გაუმარჯოს სოციალიზმს!

ღუშეთის ბათალიონის

მონდობილობით **ტატიშვილი.**

სენაკი. ძველი სენაკის თემის მცხოვრებთა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი აღფრთოვანებით ეგებება გვარდიას და ჯარს და მოულოცავს მათ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ბრწყინვალე გამარჯვებას საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებით. დაწყო ახალ ხანა ჩვენ ცხოვრებაში და გვრწამს რომ ჩვენი დემოკრატია თავის ღირსეული მთავრობის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს საქართველოს ერთგული ბურჯის გვარდიის და ჯარის მეოხებით ამ გამარჯვებას ღირსეულად შეინარჩუნებენ და ააყვავებს ნორჩ რესპუბლიკას.

მიტინგის მონდობილობით

ქუბაბრი და გეგენავა.

თბილისი. სახალხო გვარდიის ჯავშნოსან საავტომობილო სატანკო დივიზიონი მთელი თავის შემადგენლობით გილოცავთ საქართველოს იურიდიულ დამოუკიდებლობის ცნობას და გისურვებთ ენერგიულ მუშაობას საქართველოს დემოკრატიისათვის.

დივიზიონის უფროსი **ინე. ბ. მაშულაია.**

თბილისი. საქართველოს მიწის მზომელთა ყრილობა ესალმება თავისუფლებისათვის ერთგულთ და თავდადებულთა მებრძოლ ჯარს და გვარდიას, რომელნიც სიცოცხლის განწირვით იცავენ დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობას და რევოლუციის მონაპოვართ.

ყრილობის თავმჯდომარე **ჩ. ქიციანი.**

აბაშა. მრავალ-რიცხოვანი მიტინგი, შეკრებული აბაშაში საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის გამო, გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ჩვენს მამაც ძლევას მოსილ ჯარს და გვარდიას. გვრწამს დემოკრატიული საქართველო მალე გამოვა სრულ სამშვიდობოზე და საქართველოს დემოკრატიას საშვალემა მიეცემა იარაღები ჩაქუჩ სახნისებათ შესცვალოს.

მიტინგის თავმჯდომარე **ნოე ბოკუჩავა.**

ძველი სენაკი. ძველი სენაკის თემის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი მიტინგი მოგილო-



ცავსო ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ბრწყინვალე გამარჯვებას. საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებით დაიწყო ახალი ხანა ჩვენს ცხოვრებაში და გვრწამს, რომ ჩვენი დემოკრატიის თავის ღირსეული მთავრობის, უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს, საქართველოს ერთგული ბურჟუის გვარდიის და ჯარის მეოხებით ამ გამარჯვებას ღირსეულათ შეინარჩუნებს და ააყვავებს ნორჩ რესპუბლიკას.

მიტინგის მონდობილობით **ქუბაბრია** და **გაგენავა**.

დუშეთი. საქართველოს იურიდიულად აღიარება დიდ სახელმწიფოთა უმალღესი საბჭოს მიერ შედეგია სოციალ-დემოკრატიის სალი მიზანშეწონილი პოლიტიკის და შეუდარებელი ბრძოლის წარმოებისა. განაგრძეთ ნაცადი გზით მუშაობა რესპუბლიკის ყოველ მხრივ ასაღორძინებლად და მუშათა კლასის საბოლოო მიზნის—სოციალიზმის მისაღწევათ.

მაზკომის თავმჯდომარე **კალანდარიშვილი**.
მდივანი **ამირიძე**.

II

12 დეკემბრის დღესასწაულის გამო.

(გაგრძელება*)

ფრონტიდან. ფრონტზე მყოფი სახალხო გვარდ. საგანგებო ბათალიონის გვარდიელები გილოცავთ დღესასწაულის დღეს სახალხო გვარდიისას.

არა ერთხელ და ორხელ მდგარა ქართველი ერი ჯვარედინ გზაზე, მაგრამ შეიარაღებულ მშრომელთა კლასს, გვარდიას, გადაურჩენია ერი განადგურებისაგან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ როგორც წარსულში, ისე ეხლა გამოვა გამარჯვებული ქართველი ერი. ვუერთდებით თქვენს ზეიმს და თქვენთან ერთად შევსძახებთ: გაუმარჯოს ქართველ ერს და მის შეიარაღებულ ძალას გვარდიას და ჯარს!

ოფ - ა. ბახტაძე.

უღე-მესხეთიდან. სოფელი უღე დიდი ზეიმით ეგებება სახალხო გვარდიის სამი წლის დღესასწაულს. თან ულოცავს მას, როგორც სადღესო, აგრეთვე მომავალ აღორძინება-გაძლიერებას. გაუმარჯოს სახალხო გვარდიას! გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას!

უღელები.

ბორჯომი. გილოცავთ დღესასწაულს. იარაღით ხელში მზათა ვართ მტრებს პასუხი გავცეთ. **ბორჯომის შტაბი.**

* იხ. წინა №№-ები.

ფრონტიდან. ცხენოსანთა ლეგიონი მთელი შემადგენლობით ულოცავს სახელოვან სამშობლოს ერთგულ დარაჯთ გვარდიელების დღესასწაულს და უსურვებს დასახული მიზნების განხორციელებას. გაუმარჯოს ჩვენ გმირ გვარდიას!

მათორი საყვარელიძე.

ფრონტიდან. სამეგრელოს სახალხო გვარდიის მე-2 ბათალიონი გილოცავთ თქვენ საქართველოს სახალხო გვარდიის დღესასწაულს და ფიცსა სდებთ სამშობლოს, ხალხის და მთავრობის წინაშე, რომ იგი მზათა უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცვას საქართველოს დემოკრატია. **მე-2 სამეგრ. ბათალიონი.**

ფრონტზე მყოფ გვარდიას და ჯარს. საქართველოს მუშათა კლასის ღირსეულნი შევიწყო!

ქუთაისის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება 12 დეკემბერს ამხანაგ კოწია სულაქველიძისა „თანამედროვე მომენტზე“, და სცნობს რა სირთულეს ირგვლივ შექმნილ პირობებისას ფიცსა სდებთ, რომ თქვენს ზურგს უკან მდგომნი ეს მრავალრიცხოვანი ძალა, პირველ დაძახების თანავე თქვენთან გაჩდება და ხელისხელ ჩაკიდებული ყოფინას დასცემს მომთურ მტერს, და საქართველოს მუშათა კლასი ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს ყველას, რომ მასში სჩქფეს რევოლიუციური სისხლი და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე არ უღალატებს—სახალხო მოძრაობას.


კრების თავმჯდომარე **გრიგოლ რევიშვილი**. მდივანი **დავით ჭარხალაშვილი**.



გვარდიელი დვალი და გვარდიის ოფიცერი იოველ აბჯანდაძე.

ბევრმა დემოკრატიის შეიღმა გასწირა თავი, რომ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა გადარჩენილიყო სამოქალაქო ომს და საერთოთ ანარქიას. ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ იარაღით ხელში, იცავდნენ რესპუბლიკის საზღვრებს, ყველა რაიონებიდან, ყველა ქალაქებიდან ლებულობდნენ მონაწილეობას რესპუბლიკის დაცვაში მოწინავე მუშები და საჩხერის რაიონმაც ამ მხრივ თავისი მსხვერპლი გაიღო, საჩხერის რაიონიდან ბრძოლის ველზედ

მოკლულ იქნა **გვარდიელი მტკიცე დიმიტრის ძე დვალი და გვარდიელი კეთილშეიშობი იოველ ლევანის ძე აბჯანდაძე**. პირველი იყო რეზერვის გვარდიელისა ჩხერე ქიათურის რაიონის შტაბიდან, მან მრავალ ომებში მიიღო მონაწილეობა და ბოლოს მოკლულ იქნა ამხანაგებთან ერთათ ადრე-ბეიჯანის ფრონტზე, მკაცრი ბრძოლის დროს. ის 30—31 წლისა იყო, მახსოვს როდესაც დვალი მიდიოდა ფრონტზედ მან მითხრა: ბრძოლა დაიწყო: მე იქიდან ცოცხალი აღარ დავბრუნდებო. ის ყოველ გვარდიის მობილიზაციასზედ მზათ იყო და ყველასზედ უმალ გარბოდა ფრონტზედ.



იოველ ლ. აბჯანდაძე.
მოკვ. 1920 წ. 11 სექტ.

იოველ აბჯანდაძე იყო სოფელ საირიხიდან. რევოლიუციის გამოცხადების შემდეგ ის ქუთაისში სათადარიგო ჯარის კაცათ იყო; იმ დროს ქუთაისში ბალშევიკური „ბანდები“ ამტვრევდნენ ქალაქს, იოველი უყურებდა ამ სურათს და წყენოდა, და როდესაც იქ ჩავიდა ჯარი მის ლიკვიდაციის მოსახდენათ იოველი უერთდება ამ ჯარს. ამის შემდეგ ის გადადის სახალხო გვარდიაში და მსახურობს პირნათლათ. მიიღო მონაწილეობა მრავალ ბრძოლაში, და უკანასკნელათ ის გაგზავნეს თბილისის საგანგებო ბათალიონიდან ოსეთის კუთხეში, სადაც დაიჭირეს ოსებმა, აწამეს და წამების შემდეგ მოკლეს.

ამ ორმა ახალგაზრდამ შესწირეს თავი ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის დაცვას; ჩვენ ვაპყობთ, რომ ჩვენი ნორჩი დემოკრატიის დაცვაში ვღებულობთ მონაწილეობას და მზათ ვართ თუ საქიროება მოითხოვს ყველამ სიცოცხლე შევსწიროთ ძვირფას სამშობლოს.

შალიკო ხვადაბუნელი



ჭარისკაცთა და გვარდიელთა წერილები და ლექსები.

საქართველო
საქართველო

უინაურ მსრამს.

ისე დაეცით, დაკნინდით სულით!..
ისე დაჰკარგეთ რიგიანობა,
ისე აიღეთ სინდისზე ხელი,
და შეითვისეთ შურიანობა..

ვისაც მრავალჯერ დაუზარებლად
თავის ქვეყნისთვის უწირავს მსხვერპლი
თავის სიცოცხლე, მოძრავე ყოფა,
ჩვენთვის დაუწვავს, ვით ნაცარ ფერფლი.

ისე დაბნელდა თქვენი გონება!
ისე შეირყვნა თქვენი ზნეობა!
ისე წაგვრთვით პატიოსნების—
სიამპარტავენი მძლეოთა მძლეობა,—

რომ გვარდიასაც მისწვდით საკბენათ!
და შეურაცყვეთ მწარე ენებით!
მამაცთა სახელს დაურიდებლად,
საჯაროთ ჰკიცხავთ ლანძღვა გინებით!

და მერე რისთვის, რა დააშავა,
ან რა აქვთ თქვენგან დასაწუნები?..
ნუ თუ ვერ შესძლო ვერ დააშუშა,
ერის იარა, ერის წყლულები?..

იქნებ ლალატობს რავისუფლებას,
ვერ შეასრულა თავის მისია?
იქნებ არ ვარგა ვაჟაკობაში,
მონა, ლაჩარი უვარგისია?..

იქნებ ვერ დგანა თავის ადგილას,
და საეჭვოა სიმხედრო ძალად?
იქნებ არა აქვს მას სწორი ხაზი,
ვერ გამოდგება თავდაცვის ფარად?..

„მაუზერისტებს“ უწოდებთ იმ ხალხს
ვინც ჩვენი ერი იხსნა მრავალჯერ!
ვისაც თვის მკერდი მტრის ტყვიისათვის
მიუშვერია ათი ათასჯერ...

ვინც მრავალ საფრთხეს ჩვენი ქვეყნისა,
თავის მარჯვენივთ აქრობს, ანელებს..
არც კი გრცხვენიათ და უდიერად
ახსენებთ კიდევ იმათ სახელებს...

ვინაც დღე-ღამით განუწყვეტელათ,
სადარაჯოზე თოფით სდგას ხელში...
ვინც მტრის ლოდინში ეხლაც იქ არის
დღეებს აღამებს ყინვიან მთებში...

რომლის სისხლითა და მრავალ ძვლებით
ხსნილა მტრისაგან ქვეყანა ჩვენი..
იმათთვის მხოლოდ თქვენ გაიმეტეთ
შხამით და გესლით აღსავსე ძღვენი..

უმაღლურებო. სირცხვილი თქვენი!..
მივხდით, გაგიგეთ, კარგათ გიცანით!
გულში რა გიღვეთ, რას ფიქრობთ ჩვენზე,
ეხლა ავხსენით გამოცვანით!..

მაგრამ ჩვენ ჩვენი, „მაუზერებით“
ჩვენი თოფებით, ტყვის მფრქვევლებით!..
ჩვენ ერს, ქვეყანას, თავისუფლებას,
ურყევ გალავნათ მაინც ვეველებით!..

ქედს არ მოვიხრით, გაქვირებაში,
წარბს არ შევიხრით, არ დავღონდებით;..
აზრით, გონებით, როგორც თქვენ, ისე—
არ დავეცემით, არ დავობდებით!..

და როს მსოფლიო დაყრის იარაღს,
მთელი ქვეყანა გარდაიქმნება..
როს დამყარდება საერთო ძმობა,
მტრობა სისხლის ღვრა, აღარ იქნება!

მაშინ „მაუზერებს“ გადავაკეთებთ:
ვიხმართ თოხებთ, ვიხმართ რკინებდ!
მაშინ ვახდებ ჩვენი საქმენი,
მთელ ქვეყნისათვის სათაყვანებლად!..

თქვენ კი გონებით დაბრმავებულნო,
გვწამლავთ მოშხამულ მწარე ენებით,
და ჩვენ ბელადებს, მთელ ჩვენს გვარდიას
იხსენებთ მხოლოდ ლანძღვა გინებით!..

ზიზლი!.. ზიზლი თქვენ ავის მთესავნო,
შურით მორწმუნე უმაღლურებო!..
დაბრმავებულნო, ეილაჯონო!..
აზრით, გონებით უბედურებო!

დ. ჭანჭათელი.



შაქრო კ. ქვლივიძე.

მოხალ. გიმნაზიელი. გარდ. ადერ. ფრ.
ს. ასლან-ბეგთან მიღებულ ჟურნალისა-
გან 1920 წ. 15 მაისს

ზაქრო კვლივიძის ხსოვნას.

შენს სამარეზე დედა მწუხარე
სდგას და ცრემლები სცვივა მღულარე.
ვერ დავგავიწყებ სიკვდილი შავი—
რომ შენ სამშობლოს შესწირე თავი
და თუ იმედთა გულში გვაქვს ჯარი—
შენი სახელიც არ არის მკვდარი.

საქართველო მომხიბლავი თეატრია;
იგი მომჯადოვებელი სცენაა ბუნებისა.
სალი კლდის დათოვლილი მთები აქვს დე-
კორაციებთ.

მთლად საქართველო მღერის, რადგან იგი
ბუნებით არტისტია. მღერის, ლხინი აქვს თუ
მწუხარება: ასე მოგვდგამს დასაბამიდან.

მინდა შევსძახო ჯოჯოხეთის მოციქულებს:
გავგანებთ თავი, ჩვენ არას გერჩით, თქვენ
რათა გვდევნით?

სულ ერთია: მზათა გვაქვს ბასრი ხმალი
საკადისა.

არ გაგიშვებთ, რომ ჩვენი ბალები თქვენი
დინგით გადათხაროთ.

საქართველო სწრაფად ფეხზე დადგება;
ღვთის რისხვა, როგორც ერთი ზარი, მეხად
თავს დაეცემა მტერს.

ტატე შუშიაშვილი.

ო ს ნ ე გ ა.

მიხმობს ოცნება კვლავად შენსკენ, ჩემო
ნანატრო;
ცოდვის ქვეყანა, ტანჯვის წვეთებს შენთვის
მასხურებს.

თმენით ლოდინი ბეჩავს მარად შენთვის მჩვე-
ვია,
შორით ალერსი მოგონება ჩემს გულს ახა-
რებს.

დაინგრა ძველი და მის წნაცვლათ წითელ
სამეფოს

ვეტრფიალები, მზის სხივები თან მომყვებიან.
სამოთხისებურ სამშობლოს მცველნი, გუშაგ-
ნი,

ჩემთან ისინიც გზას გიკაფვენ, გელოდებიან.
აღთქმის ქვეყანას კვლავ ველირსეთ... აღს-
დგა ოცნება,

რომელიც იყო მებრძოლთ სწორი, კეშმარი-
ტება;

ძმობა ერთობის დროშა კვლად აფრიალ-
დება:

მუშათა კლასი მთელი ქვეყნის აქ შეერთდება.
ივანე ნაზარბეგეშვილი.

წერილი ფრონტიდან.

ძვირ. ამხ. ა...!

სალამი!

გისურვებთ გამაჯვებას. ფრონტზე მდგო-
მარეობა საუცხოვოა. მოგვდის გაზეთები, ჟურ-
ნალები. იყავით კარგათ და იცოდეთ მედ-
გრათ არჩან დუშეთის გვარდიელები. მთელი
ხალხის გულში, რაც დრო გადის, უფრო გმი-
რული სული მტკიცდება.

გაიძახიან: „მოგვეცით ნება და ვნახოთ
ერთ კვირაში რას ვიზამთო“. სიცივე, თოვლი
არვის აშინებს.

სალამი ამხანაგებს...

მთა N...

ამხ. სალამით გენო ბელოძე.

№№

გამარჯვების ივალით.

ამხანაგებო: გვარდიელებო და ჯარისკაცებო, ქართველი დემოკრატიის ღირსეული შვილებო, სიამაყენო ქართველი მშრომელი ხალხისა. თქვენ გიყვართ თავისუფლება, კერა, ოჯახი და ცოლ-შვილი და ამიტომაცაა, რომ თქვენ დაუღალავად და შეუდრეკლავ იცავთ მას მოზღვავებულ მტრისაგან.

აი ამ დილით ჩვენი თოფ-ზარბაზანი მთელ ქვეყანას გასაგონათ ელაპარაკება საქართველოს უძველეს კულტურაზე, ჩვენს ეხლანდელ თავისუფლებაზე და მის საზღვრების მისივე დემოკრატიისაგან დაცვაზე.

ამ მიზნით საქართველოს არც ერთი კუთხე უფაროთ არ უნდა დარჩეს და ჩვენ სულ მალე გამარჯვებული მხიარულად დავბრუნდებით და გამარჯვებას ვახარებთ საქართველოს ხალხის ნებასურვილის გამომხატველ მთავრობას, ჩვენს ოჯახებს და შინ დარჩენილ იმ მუშებს, რომლებიც იმ დროს, როცა ჩვენ სამშობლოს გარეშე მტრებისაგან დასაცავათ თოვლიან მთებში ვიყინებოდით, ისინი შიგნით ებრძოდნენ იმ არამზადებს, რომლებიც დაქრთამული არიან ჩვენი მტრებისაგან და ცდილობდნენ წყლის ამღვრევას, მათაც თავ ანთი სამარცხვინო ხელობისათვის შესაფერ პასუხს გავცემთ და ჩვენ ღვიძლ ძმებ მუშებთან ერთად დაუბრუნდებით თოხს და ჩაქუჩს და შეუდგებით სამშობლოს ეკონომიურათ გაღონიერებას.

ამხანაგებო! ვარანცოვკაში მდგომ 1 იმერეთის ბათალიონის მე-4 გუნდის რაჭველი გვარდიელების სახელით გიძღვნით სალამს, გამარჯვების იმედით, გაკაყებული გულით და ფოლადის ენერგიით მოგიწოდებთ წინ სელას იმ აღთქმის ქვეყნისაკენ, რომლის საფუძველი უკვე ჩაყრილია და რომლისთვის ბრძოლაში ჩვენი დემოკრატიის საუკეთესო და დაუფიყყარმა შვილებმა თავი შესწირეს.

სახალხო გვარდიელი შალვა ქელიძე.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ურონსი.

ორი თვე უკვე სრულდება, რაც ჩვენი სახალხო გვარდია იცავს საქართველოს საზღვრებს ახალგაზრდა ჯართან ერთად. ორი თვე უკვე გადის, რაც საქ. სახელოვანი გვარდია სიცივეს და ყოველგვარ ტანჯვას იტანს. ორი თვე გადის, რაც ჩვენი მამულის გმირები თავის ოჯახს, სახლ-კარს—ცოლს—შვილს მოშორებულნი დარაჯათ უდგანან ნორჩ სამშობლოს. მაგრამ ჯერაც არავის გაუგონია მათის მხრივ უკაყოფილების სიტყვა ჯერაც არ აცრუებიათ გული სამშობლოს სახელოვან დამცველებს თავის მოვალეობის ასრულებაზე, ყველანი ერთსულოვნათ, ხელიხელ ჩაკიდებულნი დგანან თავიანთ პოსტებზე და ერთგულად დარაჯობენ თავის სამშობლოს.

მე დანამდვილებით ვიცნობ სამხრეთაღმოს.

სავლეთით მდგომ გვარდიელების სულიერ განწყობილებას. ეს გახლავთ ვარანცოვკის მიმართულებით. პირდაპირ განცვიფრებაში მოხვალ ადანიანი, როდესაც დააკვირდები აქაურ გვარდიელთა სულიერ განწყობილებას. ყველას დაეწყებ ა პირადი ცხოვრების სიღუბნით; ყველას დაეწყებია ყოველივე კერძო, პირადი; ყველანი ერთი აზრით, ერთი გრძნობით არიან გამსჭაღულნი. თვით ეუი გვარდიელის სახეზე წაიკითხავთ მხოლოდ ერთს: ჩვენ ყველანი მზათ ვართ ზვარაკათ შევიწროთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს და რიგოლიუციით მოპოვებულ ნორჩ თავისუფლებას ყველას ეტყობა სიმხნევე და სულიერი სიმტკიცე. ყველას ახსოვს თავისი მოვალეობა. ყველამ იცის, თუ რა მიზნით მოსულა და იტანჯება თოვლით დაბურულ მთებში, იტანს სიცივეს და ყოველგვარ უბედურებას. ყველას შეუგნია, რომ თავისუფლებას დაცვა უნდა. ისინი გაფაცრცებით ადევნებენ თვალყურს ყველა იმ ცვლილებას, რომელიც ჩვენს ირგვლივ ხდება. ხედავთ ვარანცოვკის ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ გვარდიელებს, რომლებიც გაფაცრცებით უსმინენ და კითხულობენ გაზიფებს. ყველანი კმაყოფილებას გრძნობენ მთავრობის უკანასკნელ ნაბიჯით საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ. ამაში ისინი ხედავენ საქართველოს უფლებების დაცვას. ახლა კი თუ ისინი (საბჭ. რეს.—ბი) ომით გგპასუხებენ—ჩვენი სახელოვანი გვარდია უკვე მზათ არის პასუხი ვასცეს. ტყვიას—ტყვიითვე უპასუხოს, ხმაღს ხმალი დაუპირდაპიროს, და ასე მუხანათურად შემოსულ მტერს დაანახოს, რომ ის არავის არ მისცემს ნებას ფხქვეშ გათელოს ნორჩი რესპუბლიკის უფლებები. დიდს აღშფოთებას იწვევს გვარდიელებში რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ყოველი გვარდიელი დარწმუნებულია ახლა, თუ რა ან ვინ იმალება ბოლშევიზმის დროშის ქვეშ. ჩვენს გვარდიას ომი არ აშინებს, პირიქით ყოველი გვარდიელი აღფრთოვანებით ელის იმ დროს, როდესაც მას მიეცემა ნება სამაგიერო გადაუხადოს საქართველოს რესპუბლიკის მტრებს. მაგრამ ამავე დროს ყველას ახსოვს, რომ ჩვენი გვარდია სიამოვნებით ეგებება ყველასთან სადაო საკითხების მეგობრულად და მშვიდობიანათ გადაჭრას. ის ძალით არავას ესხმის თავს, მაგრამ თუ ამას არ მოისურვებენ ჩვენი მტრები, მაშინ კი ყველა მზად არის თავი შესწიროს სამშობლოს. ძირს შიში, ძირს დაჩრება, გაუმარჯვებს მხნე და შამაცურ ბრძოლას!—აი ჩვენი სახელოვანი გვარდიელების დევიზი. მათ გადაუღაზავთ ბევრი დაბრკოლებანი, აუტანიათ სიცივე, შიმშილი და სხვა ათასნაირი ტანჯვა და დღესაც აიტანენ ყოველივე ამას სამშობლოს საკეთილდღეობათ.

მაშ, გაუმარჯვებს ჩვენს სახელოვან გვარდიას!

გაუმარჯვებს ჩვენს ახალგაზრდა ნორჩ ჯარს! აბოლონ ხვითარია.



გვარდიელი წერილი.

ამხანაგო რედაქტორო! აი გაწა წერილი მომითვისეთ თქვენს ჟურნალ „სახალხო გვარდიელი“.

ჩვენს ნაწილში გაზიფებიც მოგვდის, ჟურნალებიც, წერილებიც. დახმარებაც ქალაქიდან. ხალხის და თქვენი თანაგრძნობა დიდია და ჩვენთვის დიდი სანუგეშოა. ამ რამოდენიმე დღის წინეთ გვეწვია თფილისის სტუმრები: სერგო ჟორჯოლიანი, ელენე მაისურაძისა და სხვები.

სტუმრებმა მოგიტანეს საჩუქრები დამხმარე კომიტეტიდან. წრფელი გულით გამოგზავნილი ხალხის წვლილი.

დაგვათვალეირეს, გვესაუბრეს, აგვიხსნეს საქმის ნამდვილი ვითარება.

საჩუქრებმა, ნახვამ და ამბვის მოტანამ დიდათ წაგვახალისა. მადლობას უქდენით ამხ. სერგო ჟორჯოლიანს და მის თანამხლებლებს, რომელთაც არ დაიზარეს შრომა და საქმე ჩვენთვის და ჩვენი ტურფა სამშობლოსთვის...

უსურვებთ სიმხნევს მათ.

საინტერესოა აგრეთვე „პაღარკებში“ ბიძია მეომრების მიმართ პატარების წერილები. ამ წერილებს გამოგოგზავნით.

გვარდიელი გიორგი-ური.

ჯარისკაცი წერილი

ძმონ-რ!

ფრონტიდან სალამს გიძღვნი, გამარჯობას და კარგათ ყოფნას გისურვებ. როგორ ხარ? ხომ კარგათ? ხომ ჩვეულებრივ? წერილი მოიწერე, ჩვენი სოფლის და ბიჭების ამბავი გამოგვბინე.

ჩვენს ამბავს თუ იკითხავთ, ვცხოვრობთ ისე, როგორც პოზიციას შეეფერება. მართალია თოვლია საქმე გავიქირა, მარა ცივ ზამთარსაც გაუძლებთ. ან კი ზამთარი რას გვიზამს, როცა შეჩვეული ვართ. ძალიან გვიხარია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. ეტყობა ჩვენი ხალხის ბედი უზრუნველყოფილია.

იცი, რა აღფრთოვანება იყო ჩვენს ბიჭებში?!

ვერ წარმოიდგენდი...

გამოგვეცოცხლა და ბრძოლის ენერგია მოგვიმაჯა. მადლობა ღმერთს, რომ ვნახე ჩვენი გამარჯვება და აწ სიკვდილს აღარაფრად ვაგდებ.

ჩქარა გაზაფხული მოვა, გათბება ქვეყანა, და უფრო გამხიარულდება ფრონტი...

იცოდეთ, არაფრის გვეშინია, ველით ბრძანებას და მზათ ვართ.

ისე, რა მოგწერო? ყველა ჩვენები აქ კარგად არიან.

მოგიკითხი ნიკოლამ, ბიძამ, გოგიამ და პატარა გივლამ.

მოგიკითხე ნაცნობები და ამხანაგები... ჩვენ კარგად ვართ, და თქვენც ყოჩადათ იყავით.

თქვენი მეგობარი კოწია.

მონაწილე სხვა

(გ. ჯუღელის წერილის ვაშლი)

ამ წერილის დაწერვა გამოიწვია იმ ძვირფასმა სიტყვივებმა, რომელსაც ვალიკო ჯუღელი სწერდა საქართველოს რესპუბლიკის ბავშვებს: „თუ ნახავთ კარგს, ჩემო პატარა მეგობრებო, ისევე თქვენ!“ მართლაც ჩვენ ვნახავთ ყოველ კარგს და ჩვენც ვეცდებით გაგიმართოთ ხელი და მოგაწვდინოთ, რაც კი თქვენს დაუღალავს ხელს და ფეხს სჭირდება, ჩვენო ძვირფასო ვალიკო, ბორჯალოს მაზრაში მოვაროვეთ ფული მედა ჩემმა დებმა: ქეთინომ და რუსუდანმა, საცა კი შეგვეძლო ჩვენ თვითონ დავდიოდით და ვვაროვებდით ფულს.

მოვაროვეთ ფული ფრონტის სასარგებლოდ სხვა და სხვა სოფლებში, თავ-თავიანთი სოფლის წარმომადგენლების დახმარებით. სოფ. ახლო- მაჭხუდლოს წარმომადგენელმა მოლა აბას მამედოვმა სულ მოგროვა 20,500 მან. მოლა აბას მამედოვ—5000 მან. სეიდ ასკერ სეით მამედ ოლლი—3000 მან. აბას კული მამედი ოლლი—2000 მან. მამედ გაჯი ოლლი—2000 მან. მამედ სადიკ ოლლი—1000 მან. სეით მამედ სეით რიზა ოლლი—1000 მან. მეხტი გასან ოლლი—2000 მან. სეით მიკრატაბ—1000 მან. სეით მისლუნ—1000 მან. მაშადი მუსაფა—2000 მან. გუსეინ ტაშ ოლლი—500 მან.

(სოფ. კერხლის კამისარმა მამედ უსუბ ოლლიმ მოგროვა სულ—5000 მან. მამედ უსუბ ოლლი—500 მან. სულეიმან უსუბ ოლლი—500 მან. კურბან მამედ ოლლი—500 მან. ასან კაჯრამან ოლლი—500 მან. ისმაილ ალაქნერ ოლლი—200 მან. კიაზუმ მუსა ოლლი—100 მან. ორუჯ მუსა ოლლი—500 მან. ვალი გუმბათ ოლლი—200 მან. ისმაილ ამი—100 მან. მეითი ალა სულტანოვ—500 მან. მაასით ალა უზბაშევ—500 მან. შამილ პოლა აბას ოლლი—200 მან. ალი კურბანოვ—200 მან. ნედირ ხალილ ოლლი—500 მან.

სოფ. ბაიდარის საზოგადოებამ შემოსწირა—10,000 მან. შემდეგი პირების დახმარებით: ალახვერდა ალა მამადჯან ალა სულტანოვ, რუსტან კეჩალ ოლლი, კარაჯან კურბან ოლლი, თარღი ვერდი სულეიმან ოლლი კერძოთ იმავე სოფლის წარმომადგენელმა ამ ფულის

გარდა მეითი-ალა სულტანოვმა თავისით გამოგვცა 10000 მან.

სულ. სამ სოფელში მოგროვდა 45,500 მან.

ქალთა I გიმნაზიის II კლ. მოწაფე

მარგო ციციშვილი.

კორესპონდენტები.

ჯავახოსან - საავსტროგილ-სატანოვ-ლიპიზიონელი.

15 იანვარს დივიზიონის უფროსის ნებართვით მოხდა ამავე დივიზიონის გვარდიელების საზოგადო კრება. კრება გახსნა კ. ცერცვაძემ და გააცნო გვარდიელებს კრების მოწვევის მიზანი. მან დამსწრეთ წინადადება მისცა აერჩიათ თავმჯდომარე და მდივანი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ინჟინერი ი. თაქთაქიშვილი და მდივანთ ნ. სიანითე.

დივიზიონის შესახებ მოხსენება გააკეთა დივიზიონის უფროსის თანაშემწემ ბ შამულიამ. მან აღნიშნა დივიზიონში არსებული ზოგიერთი დეფექტები, რომელთა გამოსასწორებლად საჭიროთ ჩასთავალა თვითონ გვარდიელების მიერ ზომების მიღება. კრებამ მოხსენების შემდეგ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი საიდუმლო კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ყველა შემჩნეულ პირებს და სამართალში მისცეს დამნაშავეები, თუ ასეთები აღმოჩნდებიან დივიზიონში.

ამ ზომამ კიდევ მიაღწია მიზანს. დივიზიონში თან და თან კლებულობს ისეთი მოვლენა, როგორცაა, მავალითად, ქურდობა და სხვ. ერთი ასეთი დამნაშავე კომისიამ კიდევ გადასცა სასამართლოს.

ტანჯული მუშა

ნავთლულის რაიონი

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურული გან. სექცია, როგორც ყველა რაიონებში, ისე ჩვენს რაიონში აგზავნის სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებს უფასოთ მუშა-მოსამსახურეებში გასავრცელებლათ, ეს გარემოება უაღრესად კარგი და მიზანშეწონილია: ჩვენს მუშათა კლასს, განსაკუთრებით ეხლა, ძლიერ რთულ ეკონომიურ პირობებში უხდება ცხოვრება. რაც გინდა იაფად არ ღირდეს ესა თუ ის გაზეთი ან ჟურნალი, მას მაინც ნაკლებათ აქვს საშუალება მისი ყოველდღიურად შეძენისა; ხოლო მუშათა კლასის გონებრივთ ამალღება, მისი ვათვითცნობიერება, საუკეთესო თავდებია მისი გამარჯვებისა. ეს კარგათ იციან ჩვენმა საუკეთესო ამხანაგებმა, რომელნიც დღეს გვარდიაში მუშაობენ, და სწორეთ ამით აიხსნება ამ კეთილი საქმის ასეთ ნიადაგზე დაყენება. ნავთლულის რკ. გზ. რაიონის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა უღრმეს მადლობას და ამხანაგურ სალამს უძღვნის, მუშა-მოსამსახურეთა სახელით, მთავარ შტაბის კულტურულ

განმათლებელ სექციას ამ საქმის სასურველ ნაადაგზე დაყენების შესახებ.

წერილი რედაქციის მიმართ

ორთაქალის რაიონის ფრონტზე მყოფ გვარდიელების ოჯახების დახმარე კომისიის მიერ შეგროვილ იქნა შემოსწორლებანი და ამავე მიზნით 26 დეკემბერს 1²⁰ წელს გაიმართა საღამო. ამ საღამოზე შემოვიდა: 1. შემოსწორლება ფულით ჩეკები № 1, 2, 3 და 4 1023150 მან. 2. საღამოს ბილიტებიდან ჩეკების № 1, 2, 3, 4, 5—151000 მან. 3. ბუფეტებიდან 30% მთელი შემოსავლიდან (117030 მ.) 35109 მან. 4. საღამოს პროგრამებიდან 16000 მან. 5. აუქციონიდან 12500 მან. სულ: 1237.759 მან. ვასავალი იყო: 1) საღამოს ხარჯები საბუთებით №№ 1-11 და 15-16 22420 მან. 2. აუქციონის ხარჯი საბუთით № 12—2500 მან. 3. წვრილმანი ხარჯები საბ. №№ 1, 13 და 14—500 მან. სულ 25420 მან.

დარჩა წმინდა შემოსავალი 1.212.239 მანეთი. ამ თანხიდან ფრონტზე საახალწლოთ საჩუქრების გასაგზავნათ დაიხარჯა 153.705 მან. (კონიაკი, საპონი, ძაფი, ნემსები, თამბაქო, პაპიროსის ქაილდი, კონვერტები, ფოსფორის ქაილდი, კარანდაშები და სხვ.). 22.000 მან. მიეცა ერთდროულ დახმარების სახით ჯარისკაცის პირობებში მყოფ 22 გვარდიელს. 36.534 მანეთი რჩება რაიონულ შტაბის პრეზიდიუმის განკარგულებაში გვარდიელებზე სესხად მისაცემათ აუცილებელ შემთხვევებში—1.000.000 მანეთი მოხმარდება სხვა და სხვა პირველ საჭიროების საწარმოების შესაძენათ და გვარდიელების ოჯახებზე იაფ ფასებში დასარიგებლათ. ეს აზრი დადასტურებული იქნა ფრონტზე მყოფ გვარდიელების საზოგადო კრების მიერ. კომისია უღრმეს მადლობას უცხადებს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც თავისი წვლილი არ დაიშურეს ასეთ დიდ საქმისათვის. ორთაქალის უბნის შტაბი მადლობას უცხადებს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს ენერგიულ შრომისათვის: ამხ. რ. კაკოიანცს, შ. საფაროვს, აბდულ ალიზადეს, გასან-ვალი ოლლის, მ. კვიციანიძეს და სხვებს.

კომისიის წევრები: 1) მ. ნაკიძე, 2) გ. პირველი, 3) მ. ტერელაძე.

შეცდომის გასწორება. წინა ნომერში მოთავსებულ ერთ ერთ სურათს (გვერ. 8) შეცდომით აქვს მოწერილი: სიმონ ვახტანგიშვილი, —უნდა იყოს: ეგნატე ნადარეიშვილი.

გამომცემელი—სახ. გვ. მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელი სექცია.



სახალხო გვარდიის მუდმივ ნაწილების კულტ.-განმანათლებელ
 საქმიანს, საოლქო და სარაიონო შტაბებს,
 სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის საქცია

გაცნობებით, რომ ყველა მასალები, ჟურნალ „სახალხო გვარდიელი“ დასაბეჭდათ გამოგზავნილი, უნდა იყოს თქვენ-მიერ შემოწმებული.

წერილები უნდა იწერებოდეს მოკლეთ და უმთავრესად გვარდიის ცხოვრებიდან.

უნდა იგზავნებოდეს: გვარდიელთა კრებების, სარაიონო და საოლქო ყრილობების ანგარიშები, კულტურულ-განმანათლებელ და სამეურნეო მოძრაობის შესახებ ცნობები და სხვა-და-სხვა.

მთავარ შტაბის კულტ.-განმანათლ. სექცია.

„სახალხო გვარდიელი“

ჯერ-ჯერობით ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“ გამოდის ორჯერ. ჟურნალში მოთავსებული იქნება სოციალისტური, პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის წერილები, ისტორიული ცნობები სახალხო გვარდიის მოძრაობიდან, მხატვრული ნაწარმოები, ოფიციალური ცნობები მთავარი შტაბისა, ომებში დაღუპულ მებრძოლთა სურათები და ბიოგრაფიები და სხვა და სხვა.

ჟურნალის №-ი ეღირება 100 მანეთი. გამოვა ყოველი თვის 1-ს და 15-ს. გამოგზავნილი მასალები პროვინციებიდან უნდა შემოწმებული იქნას ადგილობრივი შტაბების სექციებისაგან.

წერილები და ფული გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: თფილისი, მთავარი შტაბის კულტურული სექცია.



სახალხო გვარდიელები პოზიციაზე შავი ზღვის პირას.